დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: თამარ ჯაფარიძე ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1. ეთერ ბროლაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი,
2. ნანა შამუგია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
3. ქეთევან ლარცულიანი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი;
4. ვალერიანე ვოლჩანსკი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი;
5. ქეთევან პარუნაშვილი - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი;
6. ვერა გუდაძე - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი;
7. როლანდ ხოჯანაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი;
8. ჯულიეტა ტაბეშაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი;
9. ალექსანდრე ჩახნაშვილი - სპორტის საგნობრივი ექსპერტი;
10. ნინო მახარაშვილი - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი;

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	21998957746

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ზუგდიდი
იურიდიული მისამართი	ზუგდიდი; აღმაშენებლის N1
ფაქტობრივი მისამართი	ზუგდიდი; აღმაშენებლის N1
საფოსტო ინდექსი	2100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	არ აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	zugdidi1@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	0415 228311; 0415 222905

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის გრძანების ნომერი და თარიღი)	MES 4 23 0000845773
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	7 და 8 აგვისტო, 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის,

				ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური I – VI კლასები	ქართული ენა	ზუგდიდი; აღმაშენებლის N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური VII – IX კლასები	ქართული ენა	ზუგდიდი; აღმაშენებლის N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური X – XII კლასები	ქართული ენა	ზუგდიდი; აღმაშენებლის N1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლაში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების

ავტორიზაციის დებულებით“ განსაზღვრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის შესრულების შემოწმება განხორციელდა. ექსპერტების ჯგუფმა ვიზიტის ეფექტიანი წარმართვისთვის შეიმუშავა დღის წესრიგი და შესამოწმებელ დოკუმენტთა სავარაუდო ნუსხა, რომელიც დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე.

ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ორი ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტითა და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით .

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტები გაესაუბრნენ სკოლის წარმომადგენელებს - სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, მის მოადგილეს, საქმისმწარმოებელს, სკოლის ბიბლიოთეკარს, მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორს, ბუღალტერს, სპეც. მასწავლებლებს და სხვა პირებს. ინტერვიუ შედგა სკოლის მასწავლებლებთან. ვიზიტი განხორციელდა პირისპირ ფორმატში, ხოლო საგნობრივ ექსპერტებს (გარდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ჯგუფისა) დისტანციურ რეჟიმში ჰქონდათ შესაძლებლობა ჩაეტარებინათ ინტერვიუები მასწავლებლებთან. ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით გარემოში, დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტების საქმიანობის განხორციელებას და უზრუნველყო გარკვეული მტკიცებულებების წარმოდგენა, თუმცა არასრულად. ექსპერტების მიერ გაიცა რჩევები, წარმოების ფარგლებში შესწავლილი დოკუმენტების ანალიზისა და ინტერვიუების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები გაცნობილი იქნა დაწესებულების წარმომადგენლებისთვის ვიზიტის დასასრულს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლაში ვიზიტის დროს, გამოიკვეთა, რომ არაფორმალური განათლება არის სკოლის ძლიერი და განმასხვავებელი ნიშანი. დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი აღნიშნავს, რომ არაფორმალური განათლება, ნამდვილად არის სკოლისთვის საუკეთესო პრაქტიკა. სკოლაში ფუნქციონირებს არაერთი კლუბი, ასევე სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობა ძალიან ბევრს აქტივობას აორგანიზებდა და ახორციელებდა წლის განმავლობაში.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1400	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები		☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლაში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები : დაწყებითი, საბაზო და საშუალო.

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ უზრუნველყოს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში რესურსებისა და გაზომვადი ინდიკატორების განსაზღვრა. დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (09.09.2023- 10.10.2023წწ.)
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	

[1] გარდ მეორე სტანდარტის ნაილზივი შესაბამისობისა.

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;	სკოლამ უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის შემუშავება. **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (15.09.2023- 30.09.2023წწ.)**
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ უზრუნველყოს ექიმის კადრის მოძიება და შესაბამისად, სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა და პირველადი დახმარების აღმოჩენა. **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (12.09.2023- 30.12.2023წწ.)**
ინდიკატორი 3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;	სკოლამ უზრუნველყოს ვებ-გვერდის შექმნა. **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (03.09.2023- 10.10.2023წწ.)**
ინდიკატორი 3.6.3.4	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლამ უზრუნველყოს ვებ-გვერდის შექმნა. **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (03.09.2023- 10.10.2023წწ.)**

ინდიკატორი 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	სკოლამ უზრუნველყოს ვებ-გვერდის შექმნა. **დაწესებულებამ უზრუნველყოს წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქტივობების დადგენილ ვადებში განხორციელება (03.09.2023- 10.10.2023წწ.)**

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.2.1.5	წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები	ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ თანამშრომელთა წახალისების საკითხთან დაკავშირებით მიიღოს რეგულაცია, სადაც გაწერილი იქნებ წახალისების ფორმები
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნებისთვის, მნიშვნელოვანია, სკოლამ აიყვანოს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებული სპეციალისტი.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*

ინდიკატორი 2.1.2.2	**საბაზო საფეხური** - კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს(გლობალურ-ფუნქციური უნარები) მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები.	მნიშვნელოვანია კურიკულუმის ჩარჩოებში თითოეულ თემაში ჩანდეს ყველა სამიზნე ცნება, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში სრულად უნდა შეივსოს კურიკულუმის ჩარჩო კომპლექსურ დავალებებთან მიმართებით - განისაზღვროს კონტქსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე უნდა გაიწეროს კურიკულუმი მე-11 კლასის გეოგრაფიისა და ისტორიის საგნებში, აუცილებელია გამოიკვეთოს თითოეული სამიზნე ცნების ჭრილში რომელი ქვეცნება დამუშავდება, ქვეცნებების რაოდენობა უნდა განისაზღვროს გონივრულად - რამდენიც რეალურად დამუშავდება. მასწავლებლებს პირველივე ვიზიტზე მიეცათ უკუკავშირი ხარვეზებისა და მისი გამოსწორების შესახებ, მათ აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე განაახლონ კურიკულუმების ჩარჩოები..

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სკოლამ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ: გარკვეული ინდიკატორები (1.2.1.4; 3.1.2.3; 3.4.1.5; 3.4.1.1; 3.6.2.1; 3.6.3.1; 3.6.3.4; 3.6.3.5; 4.1.1.3), რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც - ,,არ შეესაბამება", ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი,,, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების მიხედვით;

1. **სკოლის ფილოსოფია**

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;** სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის (შემდგომში,, სკოლა". ,,დაწესებულება მისია, ხედვა და ღირებულებები დეკლარირებულია 2023-2030 წლის

სტრატეგიული განვითარების გეგმაში. '') მისიაა: *„აღზარდოს ეროვნული,ზოგადსაკაცობრიო ღირებულების მქონე, მაღალი აკადემიური მოსწრების, ჯანსაღი, კონკურენტუნარიანი, თავისუფალი, თანასწორუფლებიანი, მუდმივ განვითარებაზე ორიენტირებული, აქტიური მოქალაქე".* სკოლის ხედვაა : *„გრძელვადიან პერსპექტივაში ხედავს კურსდამთავრებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის ინტეგრაციას მსოფლიო ბაზარზე, რასაც ისინი მოახერხებენ ევროპული ენების, STEMEM საგნების და ფორმალური და არაფორმალური განათლების წარმატებულად ინტეგრაციის ხარჯზე".* სკოლის ღირებულებებია: თანასწორობა; სამართლიანობა; ღიაობა; სანდოობა; მიმღებლობა; გუნდურობა; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;** წარმოდგენილი მისიისა და ხედვის მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს თავისი როლი, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;** დაწესებულების განმარტებით სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა სასკოლო საზოგადოების ჩართულებით, რისთვისაც შეიქმნა და ბრძანებით დამტკიცდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშია ყველა საგნობრივი კათედრის წარმომადგენელი. სკოლას წარმოდგენილი აქვს სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი, რომელიც ჩატარდა 29.05.2023 წელს. აღნიშნული ოქმის საფუძველზე, სხდომაზე შეიქმნა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის სამუშაო ჯგუფი. სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესი შემდეგნაირად განხორციელდა : შედგა სამუშაო ჯგუფი, მომზადდა კითხვარები მოსწავლეებისათვის, ჩატარდა ინტერვიუები მასწავლებლებთან, ასევე მოხდა მათი საჭიროებების დადგენა დაკვირვების გზით, მოხდა მონაცემთა ანალიზი. ანალიზის საფუძველზე სამუშაო ჯგუფებმა შეიმუშავეს მისიის, ხედვისა და ღირებულებების პროექტი. აღნიშნული პროექტის ყველა საგნობრივ კათედრაზე და სამეურვეო საბჭოზე განხილულია. სკოლას წარმოდგენილი აქვს ასევე სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმის N 15, სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ, რომელიც ჩატარდა 3 ივლისს, 2023 წელს. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;** დაწესებულებას აქვს მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებული, რომელიც გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლის თვითშეფასებაზე დაყრდნობით და დირექტორთან ინტერვიუს შედეგებიდან გამომდინარე, კლასის დამრიგებლების მიერ ხდება მშობლებთან, მოსწავლეებთან ახლადშემუშავებული მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება._ **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;** სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ხელმისაწვდომია სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფაზე. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ოფიციალური ვებ-გვერდი, შესაბამისად მხოლოდ სკოლის ფოიეში საინფორმაციო დაფებზე აქვს გამოკრული. **ინდიკატორი დამაკმაყოფილებელია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაღვრულია : სსიპ ქალაქ თბილისის N176 საჯარო სკოლა.შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა (2022-2023);
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 14 (29.05.2023);
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N 1 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023-2030); სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრული სკოლის მისია, ხედვა;
- კითხვარი მოსწავლეებისთვის;
- ინტერვიუ სკოლის დირექტორთან და მასწავლებლებთან;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N15.

შეფასება: ο გთხოვთ,
ასახოთ შეფასება.
ο შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს; სკოლას წარმოდგენილი აქვს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც დამტკიცებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქ.ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 25 ივნისის N2- 508 ბრძანებით. მასში გაწერილია : სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებული ძირითადი მიდგომები, სტრატეგიულ დაგეგმვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები/პირები, სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრუქტურა და ძირითადი მოთხოვნები, სამოქმედო გეგმის სტრუქტურა და ძირითადი მოთხოვნები, სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი/შეფასების ფაზა, პროცედურის განხორციელების წესები, სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირების ფაზა, სტრატეგიული გეგმის მომზადება და განხილვების ფაზა, სტრატეგიული გეგმის დამტკიცების ფაზა, სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი/შეფასების ფაზაა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური. სტრატეგია განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს სკოლამ დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით და საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით. სკოლის

სტრატეგიული გეგმა დეტალურად ახდენს გარემო ფაქტორების და SWOT (ძლიერი, სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები) ანალიზს. განხორციელდება ხუთი სტრატეგიული მიმართულებით : 1. სკოლის ინსტიტუციური მდგრადობა და მუშაობის ეფექტურობის უზრუნველყოფილია არსებული რესურსებით, ორგანიზაციული მოწყობითა და მიმდინარე პროცესებით; 2. სკოლამ აქტიურად გამოიყენოს საუკეთესო ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილება. 3. სკოლის მიერ განხორციელებული და შეთავაზებული სერვისების განვითარება, რათა გახდეს უფრო მოქნილი, ადვილად ხელმისაწვდომი და მომხმარებელზე ორიენტირებული; 4. დანერგოს ზოგადი განათლების სპეციფიკაზე მორგებული ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმები, რომლებიც ითვალისწინებს საუკეთესო უცხოურ პრაქტიკას და საგანმანათლებლო სერვისების ხელმისაწვდომობის თანამედროვე გამოწვევებს; 5. სკოლის დამეგობრება სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გამოცდილების ურთიერთგაცვლისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. თითოეული სტრატეგიული მიმართულება აერთიანებს რამდენიმე სტრატეგიულ მიზანს. რომლებიც, თავის მხრივ, იყოფა ამოცანებად, სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; დაწესებულების წარმოდგენილი აქვს ერთწლიანი საქმომედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია ბრძანებით. წარმოდგენილი გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმიდან, დაწესებულების დირექტროთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება ხდება წინა წლის შედეგების გათვალისწინებით, რაც კათედრების და მოადგილის წლიურ ანგარიშს ეყრდნობა, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.** წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმა მოიცავს მიზნებს და ამოცანებს, პასუხისმგებელ პირებს და დროშია გაწერილი, თუმცა არ ჩანს შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და რესურსები, თუ რით იქნება უზრუნველყოფილი საქმოქმედო გეგმა.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 1.2.1.4 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 09.09.2023 – 10.10.2023წწ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში დახვეწოს ინდიკატორები, რათა ისინი იყოს გაზომვადი და შესაბამისი გრაფა ჩამაატოს რესურსებისთვის. ჩასწორებული გეგმა წარუდგენოს პედაგოგიური საბჭოს შესათანხმებლად და სამეურვეო საბჭოსთვის დასამტკიცებლად.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმქ;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N 1 საჯარო სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცების დოკუმენტით;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N 1 საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი;
- მისიის, ხედვის და ღირებულებების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება.
- სკოლის დირექტორთან ინტერვიუ;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 სკოლის შესაბამისობის გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;** სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული გეგმის მესამე თავი ეხება სკოლის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგსა და შეფასებას. სკოლის სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების შეფასება და მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის სამოქმედო გეგმის შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის შესაბამისად. სკოლის სტრატეგიის განხორციელების შეფასება ხდება ორჯერ - შუალედური და შემაჯამებელი შეფასების

სახით. შუალედური შეფასება ტარდება ახალი სტრატეგიული ციკლის დაწყებიდან მესამე წლის ბოლოს, ხოლო სტრატეგიის განხორციელების შემაჯამებელი შეფასება იწყება მიმდინარე სტრატეგიული ციკლის ვადის გასვლამდე 6 თვით ადრე და სრულდება მიმდინარე სტრატეგიის დოკუმენტის ვადის ამოწურვამდე. სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება პირველი სემესტრის ბოლოს შედეგად მუშავდება ორი ტიპის ანგარიში:შუალედური და წლიური ანგარიში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;** დაწესებულების განმარტებით, მოქმედი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ეფუძნება სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ანგარიშებს, ასევე სკოლას აქვს მშობლების და მოსწავლეების გამოკითხვის შედეგები. სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის უფრო მეტად გაძლიერებას სტრუქტურირებული კითხვარების გზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;** დაწესებულების წარმომადგენელთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა გეგმავს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების საჯაროობის უზრუნველყოფას სამომავლოდ, ხოლო ამ ეტაპზე შედეგების წარდგენა ხდება სკოლის სამეურვეო საბჭოზე, რითაც უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოებისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. აღსანიშნავია, რომ სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებგვერდი, თუმცა წარმოადგინა წერილი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისადმი გაგზავნილი, რითაც დასტურდება, რომ ახალი სასწავლო წლიდან სკოლა უზრუნველყოფილი იქნება ვებ -გვერდით და შესაბამისად, შეძლებს დოკუმენტების გასაჯაროებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.** დაწესებულების განმარტებით სამომავლოდ სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები დამუშავდება კათედრების მიერ და მთავარი გამოწვევები და პრიორიტეტები აისახება კათედრების სამოქმედო გეგმებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულად შეიძლება ჩაითვალოს.**

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა;
- ინტერვიუს შედეგებით;
- კითხვარები მოსწავლებთან და მის მშობლებთან;
- წერილი მართვის საინფორმაციო სისტემასთან

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება. o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. **პერსონალის მართვა**

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;**

სკოლას წარმოდგენილი აქვს სკოლის სტრუქტურა გრაფიკული გამოსახულების სახით, რომლის მიხედვითაც სკოლის სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ერთეულებს: დირექციას, ადმინისტრაციას, ტექნიკურ პერსონალს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, მრჩეველთა საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოსა და სამეურვეო საბჭოს. სტრუქტურის შემადგენელი ნაწილების ფუნქციები და მოვალეობები განსაზღვრულია ბრძანებით ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ 2023 წლის 3 ივლისის სხდომაზე; ოქმი N.15. დირექცია შედგება - დირექტორის (ბიზიტის დროს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი იყო), დირექტორის 2 მოადგილისა და ბუღალტრისაგან. ადმინისტრაცია შედგება - საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის

კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი. სამეურვეო საბჭოში შემავალი ერთეულებია : დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა და მრჩეველთა საბჭო. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები და საქმიანობები გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით. თანამშრომლების ფუნქციები და მოვალეობები განსაზღვრულია ორი დოკუმენტით - შრომითი ხელშეკრულებებითა და სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით. სკოლას აქვს შიდა მონიტორინგის განხორციელების წესი, რომელიც განსაზღვრავს ინკლუზიურ განათლების პროცესის შიდა მონიტორინგის განხორციელების პირობებს. ასევე წარმოდგენილია საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც სკოლა შედგება 98 თანამშრომლისაგან (დირექცია - 4 წევრი, პედაგოგიური პერსონალი - 79 მასწავლებელი, ადმინისტრაციული პერსონალი - 4 წევრი, ტექნიკური პერსონალი - 11 წევრი). სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების და პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. **ინდიკატორი დამაყოფილებულია.**

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.** სკოლის განმარტებით, ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში გაწერილია თანამშრომლების ფუნქციები და მოვალეობები. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ. გარდა ამისა, არსებობს სკოლის შიგნით ხარისხის განვითარების მექანიზმი, რის მიხედვითაც ვასკვნით, რომ მასწავლებელთა თანამშრომლობის დონე სკოლაში მაღალია, მათ შორის საგაკვეთილო პროცესში ურთიერთდასწრებაც. ისგ-ს შექმნის და მონიტორინგის პროცედურები გაწერილი და გამჭირვალეა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები): *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტრუქტურა;
- საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობების შესახებ ბრძანება;
- ხარისხის ჯგუფის დებულება.
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი.
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორიგის წესი,
- შიდა მონიტორინგის წესის დამტკიცებისა და ჯგუფის შექმნის ბრძანება.
- საშტატო განრიგი
- თანამშრომლებსა და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად; სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსით და სკოლის მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით. ახალი კადრების მისაღებად სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა კონკურსის ჩატარების წესი, ხოლო დასაქმებული პერსონალის სამართავად შემუშავებული აქვს სკოლის სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელი დებულება, რომელიც არეგულირებს ადამიანური რესურსების მართვისა პოლიტიკას. სკოლას ცალკე აქვს შუმუშავებული პროფესიული განვითარების დოკუმენტი. აღნიშნულ დოკუმენტში საუბარია, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭიროებების დადგენასა და შესაბამისი ღონისძიებების გატარებაზე. ამის ერთ-ერთ დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს სამინისტროს მიერ გამოცხადებულ ტრენინგებზე პედაგოგების დასწრების აღრიცხვის ფორმა და სერთიფიკატები. სკოლის დირექტორთან გასაუბრების დროს, მან აღნიშნა, რომ საჭიროებების დადგენა ხდება დაკვირვების შედეგად. მაგალითად, სკოლაში არსებობს მასწავლებლების ურთიერთდასწრების პრაქტიკა, ასევე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი თავადაც ხშირად ესწრება გაკვეთილების და ამის მიხედვით ადგენს მასწავლებლის **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა; დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება. მისი მოქმედების სფეროა სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N1

საჯარო სკოლის მასწავლებლები. დოკუმენტის შექმნის მიზანია სწავლების ხარისხის მონიტორინგი და მათი მუდმივი სრულყოფა, აკადემიური და მატერიალური პოტენციალის ეფექტურად გამოყენება და მათი განვითარებისათვის ხელშეწყობა. ხარისხის ჯგუფის მუშაობის დასტურად სკოლას წარმოდგენილი აქვს გაკვეთილზე დასწრების სქემა, გაკვეთილის რეფლექსიები, დაკვირვების ფორმა და უკუკავშირი. სკოლის განმარტებით, სკოლაში ასევე ხორციელდება თანამშრომლებზე დაკვირვება, რომლის მიზანია პერსონალის ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენა, მათი ინტელექტუალური რესურსისა და საჭიროებების განსაზღვრა. ასეთი დაკვირვება/მონიტორიგი იძლევა საშუალებას სკოლამ განახორციელოს საჭირო ინტერვენცია. კერძოდ, სკოლის განმარტებით, თუ გამოვლიდა, რომ გარკვეული მიმართულებით თანამშრომელს ესაჭიროება კვალიფიკაციის ამაღლება ან თვითონ დასაქმებული გამოთქვამს ამის სურვილს, სკოლა უზრუნველყოფს მას პროფესიული განვითარების შესაძლებლობით. სკოლას წარმოდგენილი აქვს გაკვეთილებზე დასწრებების განრიგი და დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით, სკოლის მიერ ორგანიზებული ტრენინგების ნუსხა. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; სკოლას მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი, რომელიც ემყარება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნული წესით განისაზღვრება კონკურსის ჩატარების პრინციპები, კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი, განაცხადების წარდგენის, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების, საპრეტენზიო კომისიის და კონკურსის შედეგების გასაჩივრების საკითხები. სკოლაში მოქმედებს მუდმივმოქმედი საკონკურსო კომისია. კომისიის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა იყოს დირექციის ერთი წევრი და საგნობრივი კათედრის წევრი. პედაგოგთა შერჩევა ხდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე. კერძოდ, ბრძანება N 1/კ - 6, „ სსიპ -აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლაში ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ დამტკიცებულია 2022 წლის 2 მაისს. ვაკანტური საათების არსებობის შემთხევაში სკოლის დირექტორი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით აცხადებს შიდა კონკურსს და განსაზღვრავს კონკურსის ჩატარების ვადებს. სკოლის დირექტორი ასევე უფლებამოსილია ვაკანტური საათების არსებობის შემთხევაში სკოლის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით გამოცხადოს გარე კონკურსი. დამტკიცებულ წესში დეტალურადაა აღწერილი კონკურსის პირობები, სავალდებულო დოკუმენტაციის ჩამონათვალი, წარმოდგენილი მასალების შესწავლით შეიძლება დავასკვნათ, რომ პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. თუმცა, დაწესებულებაში არსებული პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებისას

სკოლაში არ არის დაცული თანამშრომელთა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები, რომელიც კანონმდებლობითაა დადგენილი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.1.2.3 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 03.09.2023 – 15.09.2023წწ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლაში ამ ეტაპისთვის (15 სექტემბრამდე) ყველა თანამშრომელმა წარადგინა, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობები. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;** სკოლაში სულ დასაქმებულია 98 თანამშრომელი. სკოლის დირექციაში დასაქმებულია სამი მათგანი : სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი. სკოლის განმარტებით, პერსონალის (მასწავლებლებისა და თანამშრომლების) კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლის დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში სულ დასაქმებულია 79 მასწავლებელი. აქედან - 19 წამყვანი, ერთი მენტორობაზე არის წარდგენილი, 49 უფროსი, 1 მოწვეული. აღნიშნული მასწავლებლები შერჩეული არიან კანონმდებლობისა და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა მონაცემები, ასევე ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მასწავლებელთა შესახებ. წარმოდგენილია თანამშრომელთა პირადი საქმეებიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;**

სკოლის განმარტებით, სკოლის მართვა ხორციელდება უფლებამოსილების დელეგირების, გუნდურობისა და თანამონაწილეობითი მართვის პრინციპებით. დელეგირებული მართვის პრინციპები ასახულია სკოლის მიერ შემუშავებულ სტრუქტურაში, ასევე თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში სადაც მკაფიოდ არის გასაზღვრული დასაქმებული პირების უფლებამოსილებები და ვალდებულებები. კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული კომისიების და ჯგუფების მუშაობენ კოლეგიურობის პრინციპით. ეს კომისიები და სამუშო ჯგუფები გადაწყვეტილებას იღებენ კენჭისყრით. სკოლაში ფუნქციონირებს მმართველობითი კოლეგიური ორგანო პედსაბჭო. სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები - საგნობრივი კათედრების სახით. სულ შვიდი საგნობრივი კათედრა. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს კათედრის წარმომადგენლები აქტიურად საუბრობდნენ როგორც კათედრებს შიგნით, ასევე სხვა კათედრებთან თანამშრომლობის შესახებ. სკოლის მასშტაბით არაერთი საერთო აქტივობა და პროექტი აქვთ განხორციელებული, რისი ფოტომასალაც ხელმისაწვდომია, როგორც სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში, ასევე მათი სოციალური გვერდის მეშვეობით. თუმცა აღნიშნული პრაქტიკის დადასტურებად სკოლამ დოკუმენტაციის

გაზიარება ვერ შეძლო. სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებათა მონაწილეობითი და გუნდურად მიღების პრინციპი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. სკოლის განმარტებით, სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების პრაქტიკა. კერძოდ, სკოლა გარკვეული პერიოდულობით ახდენს შიდა საჭიროებების დადგენას, დაკვირვების გზით, ასევე სკოლა პერიოდულად შეისწავლის და იზიარებს სხვა წარმატებული საგანმანათლებლო დაწესებულებების გამოცდილებას პერსონალის მართვის გაუმჯობესების მიზნით. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდაზე მათი მიღწევების წახალისების გზით,

სკოლას მტკიცებულების სახით, გამოგზავნილი აქვს მადლობის გამოცახდების სიგელები, ასევე სხვადასხვა შეხვედრის ფოტომასალა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- **დასტურდება (მტკიცებულებები):**

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა.

- კონკურსის ჩატარების წესი.
- მასწავლებლების სია სტატუსების მიხედვით.
- შრომითი ხელშეკრულები სტატუსების მიხედვით.
- კონკურსის მასალები
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- მადლობის სიგელები;
- ფოტომასალა;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის

შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

o გთხოვთ, ასახოთ შეფასება. o შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.** სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმი, რომლის ერთ-ერთი მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ფარგლებში, ხარისხის განვითარების ჯგუფის ფუნქციებისა და საქმიანობის განხორციელების პროცედურების განსაზღვრა; დოკუმენტის მიხედვით, ეს ჯგუფი ახორციელებს საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგს; რეგულარულად ამოწმებს მასწავლებელთა პროფესიულ ცოდნას და უნარებს; ამოწმებს მასწავლებლის მიერ სასწავლო პროგრამის/კურიკულუმის შემუშავების უნარს და მის პროგრამას/კურიკულუმს. საერთო ვითარების გამოვლენის მიზნით აკეთებს ანალიზს და შეიმუშვებს რეკომენდაციებს. სკოლას დოკუმენტურად შემუშავებული აქვს მექანიზმი, თუ როგორ უნდა დაადგინოს პერსონალის პროფესიული საჭიროებები. კერძოდ, მასწავლებელთა შეფასებისას ხდება აკადემური/მოწვეული პერსონალის მიერ სასწავლო პროცესის ხარისხის დადგენა შემდეგი კრიტერიუმების მეშვეობით:

- სასწავლო პროცესის წარმართვის კომპეტენცია;

- სწავლების მეთოდების შერჩევა;
- შესასწავლი მასალის გადაცემისა და მოსწავლეებთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- მოსწავლეების ცოდნის ობიექტური შეფასება;
- საგნის შინაარსის ადეკვატური, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურის ცოდნა და სწავლებისას გამოყენება;
- საჭიროების შემთხვევაში, მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა. კათედრის წევრებთან საუბრით დგინდება, რომ მათ შემუშავებული აქვთ ურთიერთდასწრების ფორმები, კათედრები მუშაობენ კოორდინირებულად და ესწრებიან ერთმანეთის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას. ხარისხის ჯგუფის დასწრებებით ხორციელდება საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგი. ჯგუფი ესწრება გაკვეთილებს, აკეთებს ანალიზს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს. სკოლას წარმოდგენილი აქვს გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებების ფორმები და რეფლექსიები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.

სკოლას შემუშავებული არ აქვს თანამშრომელთა პროფესიული ზრდისათვის დაგეგმილი აქტივობების გეგმა. ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც მორგებულია პერსონალის განვითარებას არის „ხარისხის განვითარების უზრუნველყოფის მექანიზმი“, რომელშიც საუბარია მხოლოდ პედაგოგების პროფესიულ განვითარებაზე. ამას გარდა, სკოლას არ აქვს დადგენილი წესი, რის მიხედვითაც ახორციელებს პერსონალის საჭიროებების დადგენას. სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მხოლოდ დაკვირვების შედეგად დგინდება თანამშრომელთა საჭიროებები. გარდა ამისა ისინი თავად მიმართავენ დირექტორს თხოვნით რაიმე საჭიროების შემთხვევაში. მასწავლებელთა ურთიერთდასწრება დასტურდება სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით, ასევე გაკვეთილზე ურთიერთდასწრების უკუკავშირებით. მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაზე ზრუნვის დასტურად, სკოლამ წარმოადგინა მასწავლებელთა რეგისტრაცია სხვადასხვა ტრენინგებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას; სკოლა შეძლებისდაგვარად ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას, გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები ესწრებიან ტრენინგებს, რომელიც მათი კვალიფიკაციის ამაღლებისკენ არის მიმართული, მაგრამ მორგებულია თუ არა ეს ტრენინგები მათ საჭიროებებს, ვერ დადგინდა. ასევე სკოლაში დამკვიდრებული პრაქტიკაა მასწავლებლებს შორის გამოცდილების გაზიარება და ,,კრიტიკული მეგობრის'' ინსტიტუტის ფუნქციონირება,აღნიშნული დასტურდება კათედრის სხდომის ოქმებით და ინტერვიუს შედეგებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან; სკოლაში თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას უზრუნველყოფს სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე და საგნობრივი კათედრა. ისინი აცნობენ ახალ თანამშრომელს სკოლაში დამკვიდრებულ წესებს და ტრადიციებს. ვიზიტის დროს გამოიკვეთა, რომ ახალი პერსონალის წარდგენა ხდება საერთო კრებებზე, კათედრისა და პედსაბჭოს სხდომებზე. ახალ თანამშრომელს სკოლა აცნობს შინაგანაწესს და შრომითი

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ არ ხდება კადრების ხშირი ცვლილება. კათედრის წევრები არიან ძალიან თანამშრომლობითი და კოლეგიალური საზოგადოება და ახალ თანამშრომელს ადაპტაცია არასდროს არ გასჭირვებია. ექსპერტთა მხრიდან სკოლას მიეცა რჩევა, რომ უნდა შეიქმნას თანამშრომელთა ინტეგრაციის რეგულირების დოკუმენტი ან სხვა არსებულ მარეგულირებელ დოკუმენტში კონკრეტულად უნდა გაიწეროს თანამშრომელთა ინტეგრაციის მექანიზმები, პასუხისმგებელი პირები და ვადები; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. სკოლის მიერ წარმოდგენილი არცერთი დოკუმენტით არ დასტურდება თანამშრომელთა ინიციატივების წახალისება. მასწავლებლებთან და დირექტორთან გასაუბრებით დგინდება, რომ თანამშრომელთა ინიციატივები ყოველთვის წახალისებულია. სკოლის დირექტორი აღნიშნავს, რომ ნებისმიერი მათი ინიციატივა ძალიან სასიხარულოა და დირექცია ყველანაირად ცდილობს მათ მხარდაჭერას. ინტერვიუს დროს იგივე აღნიშნეს პედაგოგებმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარების დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მასალები;

ურთიერთდასწრების მასალები;

- ინტერვიუ სკოლის დირექტორთან და თანამშრომლებთან;

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;** სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, დამტკიცებულია 2023 წლის 25 ივლისს N2-508 ბრძანებთ სკოლის დირექტორის მ/შემსრულებლის მიერ, რომლის მოქმედების სფეროა სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლა. დოკუმენტში გაწერილია თუ რას გულისხმობს ხარისხის უზრუნველყოფა, შიდა და გარე შეფასება, საგანმანათლებლო პროგრამები, სასწავლო პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დაგეგმვა ადამიანური რესურსის შეფასება, სკოლის ადამიანური რესურსების გაუმჯობესება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემოწმება და მისი გაუმჯობესება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;** სკოლას ცალკე დოკუმენტად აქვს შემუშავებული „მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და მათი აღმწერები“ დამტკიცებულია სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ (25 ივლისის N2-509 ბრძანებით). მმართველობითი ერთეულებია, სკოლის სამეურვეო საბჭო; პედაგოგიური საბჭო; სკოლის დირექცია; მოსწავლეთა თვითმმართველობა; დისციპლინური კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო; მმართველობითი ერთეულები, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ახორციელებენ სკოლის მართვას; დაუშვებელია მმართველობითი პროცესის პოლიტიზირება; დაუშვებელია უფლებებისა და რესურსების იმგვარად გამოყენება, რამაც შეიძლება გამოიწვიოს პიროვნების დისკრიმინაცია; მმართველობითი ერთეულები პასუხისმგებლები არიან ძირითადი და დამხმარე პროცესების ჯეროვნად შესრულებაზე; სკოლის მართვა ხორციელდება საჯაროობისა და გამჭვირვალობის პრინციპის საფუძველზე.

დოკუმენტში გაწერილია ძირითადი პროცესები :ეროვნული სასწავლო გეგმის შესრულება; უსაფრთხო, გამართული სასწავლო პროცესი; საქართველოს კანონმდებლობისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტების შესრულება და ფინანსური მართვა; დამხმარე პროცესებია : უსაფრთხოების წესების დაცვა და მონიტორინგი; სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვა და მონიტორინგი; სასწავლო რესურსები; არსებულის მიზნობრივად გამოყენება; გეგმაზომიერად შევსება და განახლება; დამატებითი დაფინანსების წყაროს მოპოვება-განკარგვა/მონიტორინგი/ანგარიში; სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება; კვების პუნქტის არსებობა; პროფესიული განვითარების ხელშეწყობა **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;** სკოლას აქვს საჩივრების განხილვის სისტემა - რეგულირდება ცალკე დოკუმენტით - „ გასაჩივრების დეტალური პროცედურები“. სკოლაში საჩივრებს განიხილავს სკოლის დირექტორი, სამეურვეო საბჭო ან სააპელაციო კომიტეტი. საჩივრების განხილვა და გადაწყვეტა მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად უნდა მოხდეს. საჩივრის მიღებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში დირექტორი, სამეურვეო საბჭოს ან სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარე წერილობით დაუდასტურებს საჩივრის მიღებას, ხოლო 5 დღის ვადაში წერილობით განუმარტავს მომჩივანს სკოლაში მოქმედ საჩივრების პროცედურებს. დირექტორი, სამეურვეო საბჭოს ან სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარე უზრუნველყოფს საჩივრის განხილვას მისი მიღებიდან 10 დღის ვადაში. სკოლაში კონკურსის ჩატარებისას კანდიდატს შეუძლია კომისიის და დირექტორის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში. დეტალური პროცედურები გასაჩივრების შესახებ გაწერილია კონკურსის ატარების წესში. საჩივრების მიღება და განხილვა ხდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით და გადაწყვეტილება მომჩივანს ეგზავნება 5 დღის ვადაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.**

სკოლის თანამშრომლები, მოსწავლეები და მშობლები სკოლაში სარგებლობენ თანაბარი პირობებით. თანამშრომელთა უფლებებისა და ვალდებულებების გაცნობა ხორციელდება ხელშკრულების პირობების გაცნობით, შინაგანაწესის გაცნობით კლასის დამრიგებლის მიერ ჩანიშნულ კრებაზე. პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვისათვის სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელშიც ამომწურვადაა გაწერილი დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და პასუხისმგებლობის სახეები. იმ შემთხვევაში, თუ საგანმანათლებლო მიზნებიდან გამომდინარე იზღუდება სასკოლო საზოგადოების რომელიმე წევრის უფლება, სკოლა მას განუმარტავს უფლების შეზღუდვის საფუძველს და აუცილებლობას. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს რეფერირები წესი - ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, სადაც დეტალურადაა გაწერილი ბავშვთა უფლებების დასაცავად პროცედურები და სკოლის როლი ამ პროცესში.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლაში გაფორმებული ხელშეკრულებები;

- რეფერირების წესი;
- მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები და მათი აღმწერები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები; სკოლის განმარტებით, სკოლის სტრუქტურულ ერთეულებში საგნობრივ კათედრებზე მასწავლებლის წევრობა უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში სასკოლო საზოგადოების მონაწილეობის და ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლას შემუშავებული აქვს, მშობლებთან ურთიერთობის დოკუმენტი, რომელშიც წერია „მშობელი ჩართული უნდა იყოს სასკოლო ცხოვრებაში. თითოეულ მშობელს შესაძლებლობა აქვს თავისი სურვილისამებრ მონაწილეობა მიიღოს სკოლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებსა თუ აქტივობებში“. სკოლა განმარტავს, რომ მშობლებთან კომუნიკაციას ამყარებს კლასის დამრიგებელი და ის აწვდის ინფორმაციას ყველა საკითხზე. მაგალითად, სასწავლო წლის დასაწყისში იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებს: მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას და ა.შ. გარდა ამისა, სკოლაში იგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები მშობლებთან, სადაც მასწავლებლები მშობლებს საკუთარი შვილის შედეგების შესახებ აწვდიან ინფორმაციას. მშობლებთან კომუნიკაციისთვის დამრიგებლები ძირითადად იყენებენ სოციალურ ქსელებს. ასევე, ხშირია სატელეფონო კომუნიკაცია საჭიროებიდან გამომდინარე. სკოლის შენობაში მოწყობილია საინფორმაციო დაფა. გამოცემულ ბრძანებებს საქმისმწარმოებელი აცნობს დაინტერესებულ პირებს.

ონლაინ სწავლების პერიოდში სკოლა აქტიურად იყენებდა ბლოგს, სადაც მოსწავლეები და მათი მშობლები უწერდნენ უკუკავშირს მათთვის სასურველ თემებსა და საკითხებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

დაწესებულების მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა უზრუნველყოფილია ზოგადი განათლების შესახებ კანონის შესაბამისად, კერძოდ სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაშია მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე, საბჭო განიხილავს ითანხმებს ან/და ამტკიცებს სკოლის საქმიანობის სხვადასხვა მარეგულირებელ დოკუმენტებს. გადმოგზავნილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სამეურვეო საბჭო ძალიან აქტიურად არის ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და გადაწყვეტილებების მიღებაში. დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ მთელი წლის განმავლობაში, სამეურვეო საბჭოში შემავალი მშობლები, ძალიან აქტიურად თანამთრომლობდნენ და ძალიან დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ დაკისრებულ ვალდებულებებს. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელსაც აქვს შესაძლებლობა ჩართული იყოს სასკოლო ცხოვრებაში. არაერთი აქტივობა და ღონისძიება დაგეგმა მოსწავლეთა თვითმმართველობამ მიმდინარე წელს. ჩაატარეს ტურნირები, მოიწვიეს სტუმრები და სხვ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები): *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- კოლეგიალური ორგანოების სხდომის ოქმები(თვითმმართველობა, პედ. საბჭო);
- მშობელთა კრების ოქმები; ინტერვიუს შედეგებით.
- ფოტომასალა;
- ინტერვიუ სკოლის დირექტორთან;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;** სკოლაში, სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოება უზრუნველყოფილია შინაგანაწესით და ფუნქციური პასუხისმგებლობის გადანაწილებით. სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგსა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრული აქვს საევაკუაციო გეგმა.

ორივე სართულზე განთავსებულია სახანძრო ინვენტარის სტენდები. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომლებიც განრიგის შესაბამისად მორიგეობენ, თუმცა არ აქვთ სკოლაში შემოსული ვიზიტორების აღრიცხვის ჟურნალი და ექსპერტების მხრიდან მიეცათ რჩევა, რომ მომავალი სასწავლო წლისათვის აუცილებლად აწარმოონ სკოლაში შემომსვლელი ნებისმიერი პირის აღრიცხვა. სკოლაში დასაქმებულია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 4 მანდატური, რომლებიც უზრუნველყოფენ დასაქმებულთა და მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლას აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა, სადაც ერთი თავი ეხება სახანძრო უსაფრთხოებას. გარდა ამისა სკოლას გადმოგზავნილი აქვს იმიტირებული ევაკუაციის ფოტომასალა. შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების ტექნიკურ რეგლამენტთან და სტანდარტებთან შესაბამისობაშია. სკოლას ჰქონდა დასკვნა შენობა-

ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, ასევე მიწერილობა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ. სკოლის დათვალიერებიბისას, არ იყო მანიშნებელი ისრები, რის შესახებაც დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა კორსპონდენციით მიმართა შესაბამის უწყებას. სკოლას აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, განსაზღრულია სკოლაში გარეშე პირთა შემოსვლის კონტროლის მექანიზმები. გარეშე პირთა სკოლაში შემოსვლა დაიშვება მხოლოდ დირექციასთან შეთანხმებით.

სკოლაში 2022 სექტემბერში დასრულდა რემონტი. ამის გამო სკოლაში სწავლა გადავადებით დაიწყო, სკოლამ წარმოადგინა თანხმობის წერილი სწავლის დაგვიანებით დაწყებასთან დაავშირებით. სკოლას აქვს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, შესაბამის სფეროში აკრედიტებული ორგანოს მიერ გაცემული ცნობა.

სკოლას არ ჰყავს ექიმი. სკოლას ვიზიტის პერიოდში რამდენჯერმე ჰქონდა შესაბამისი განაცხადი გაკეთებული ექიმის ვაკანსიაზე, თუმცა მსურველი არავინ არ იყო. სკოლას 1351 მოსწავლე ჰყავს და ამ რაოდენობის მოსწავლეებისთვის ორი ექიმის საჭიროებაა, თუმცა ამ ეტაპზე არცერთი ექიმი არ ჰყავთ. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. კაბინეტში არ არის მედიკამენტები. დირექტორის მოადგილე განმარტავს, რომ საჭიროების შემთხვევაში პირველად დახმარებას მოსწავლეებს უწევს მანდატური, თვითონ მოადგილესაც ყოველთვის აქვს პირველადი მოხმარების წამლები და მშობელთან შეთანხმებით თავად აძლევს წამალს მოსწავლეს. უმეტეს შემთხვევაში სარგებლობენ სასწრაფო დახმარებით.

სკოლის ეზო არის შემოღობილი და დაცული. სკოლა გამოთქვამს მზადყოფნას დაიცვას სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოება, მათ შორის განახორციელოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება და პირველადი დახმარების აღმოჩენა;

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 12.09.2023 – 30.12.2023წწ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერა სამოქმედო ნაბიჯები, რომლის მიხედვითაც უზრუნველყოფილი იქნება სკოლაში ექიმის ვაკანსიის შევსება, კერძოდ, სკოლა უზრუნველყოფს : 1. ვაკანსიის განახლება hr.gov.ge-ზე 2. შესაბამის უწყებასთნ საშტატო ერთეულში მეორე ექიმის შტატის დამატებასთან დაკავშირებით კომუნიკაციის წარმართვა. 3 .საშტატო ერტეულის დამატების შემთხვევაში ვაკანსიის განახლება მოხდება hr.gov.ge-ზე. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს ექიმის კადრის მოძიება და შესაბამისად, სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა და პირველადი დახმარების აღმოჩენა.</u>

2. **<u>სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;</u>** სკოლაში დაცულია საზოგადოებრივი წესრიგი და სკოლის პერსონალი ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესითა და

პირობებით.'' აღნიშნული წესის შესაბამისად სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ათანხმებს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესს და პირობებს. შინაგანაწესით დადგენილი ნორმების გათვალისწინებით და პროცედურების დაცვით სკოლა დისციპლინური წარმოების ფარგლებში ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს. სკოლაში დადგენილია სართულებზე მორიგების გრაფიკი, რომლის საფუძველზე მასწავლებლები დასვენების დროს აკონტროლებენ სკოლის დერეფნებსა თუ ეზოში საზოგადოებრივ წესრიგს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;** პოზიტიური სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, სკოლაში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერის სისტემა. სკოლას აქვს პრობლემების იდენტიფიცირების, საჭიროებების დადგენის და მოსწავლისთვის დროული, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი მომსახურების მიწოდების მექანიზმი. კერძოდ, „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილების შესაბამისად, სკოლაში განსაზღვრულია რეფერირების განხორციელების პროცედურები. სკოლის თანამშრომლები ყურადღებით აკვირდებიან ბავშვთა საჭიროებებს. სკოლის თითოეული თანამშრომელი ინფორმირებულია ძალადობის ნიშნების ამოცნობის გზებზე და რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ინფორმაციის მიწოდების თაობაზე. დამრიგებლების მიერ ტარდება სადამრიგებლო საათი, რომლის ფარგლებშიც ისინი ასაკის შესაბამისად მუშაობენ შემდეგ მიმართულებებზე: მოსწავლეების ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია, დისკრიმინაციის დაუშვებლობა, ბულინგი, პიროვნული და სოციალური განვითარება და სხვა. სკოლას ჰყავს ორი სპეციალური საჭიროების მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შესაბამისად მუშაობენ სსსმ მოსწავლეებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;** სკოლას აქვს ყველა საჭირო რესურსი სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დასაცავად. სკოლაში დასაქმებულია 6 დამლაგებელი , რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების ფარგლებში. გარდა ამისა, უსაფრთხო სკოლის დოკუმენტში ერთი თავი ეხება სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;** სკოლაში მუშავდება მოსწავლეების, თანამშრომლებისა და მშობლების პერსონალური მონაცემები. მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი - რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას, ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას, სქესობრივ დანაშაულზე ნასამართლობის შესახებ ინფორმაციას, ბიომეტრიულ ინფორმაციას და სხვა. სკოლას გაფორმებულ ხელშეკრულებაში გათვალისწინებული არ აქვს შესაბამისი მუხლი, რომლის საფუძველზეც მხარები თანხმობას აცხადებენ, რომ დამუშავდეს პერსონალური ინფორმაცია. დასაქმებულ პირებს ეკრძალებათ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტებისა და ფაილების უყურადღებოდ დატოვება. საჭიროების

შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით თანხმობების მოპოვებას ან მონაცემთა დაშიფრვას.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.4.1.5 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.09.2023 – 30.09.2023წწ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლამ შესბამისობის გეგმაში გაწერა, რომ ამ წლის 30 სექტემბრის ჩათვლით მოხდება სკოლის თანამშრომლებთან ხელშეკრულებების განახლება პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის მუხლის ჩამატებით, რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმის შემუშავება.</u>

6. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;** სკოლის მიერ დამტკიცებული ბრძანებაში „ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიურ გამოქვეყნებაზე განსაზღვრული პირი“ დამტკიცებულია სკოლის საქმეთამმართველი. მას აქვს წვდომა მოსწავლეთა და დასაქმებულთა პირად საქმეებზე , სკოლაში დამუშავებულ მონაცემებზე, ელექტრონულ ბაზაში (Eschool.emis.ge) მოსწავლეების/მშობლების/თანამშრომლების მონაცემების წვდომაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.** დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, პროცესების უსაფრთხოების დადგენის მიზნით მოხდება პერიოდული შეფასება კითხვარებით, სკოლის მიერ გამოყენებული იქნება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ფორმები, დაკვირვების სტრუქტურირებული მექანიზმები, თუმცა ამ ეტაპზე სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომლის რეკომენდაციების საფუძველზე სკოლა უზრუნველყოფს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების მოწესრიგებას. **ამის გათვალისწინებით ინდიკატორი შესაძლებელია დაკმაყოფილებულად ჩაითვალოს.**

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკა;
- დარაჯის ხელშეკრულება;
- ექიმის ვაკანტური ადგილის დასაკვებლად გამოცხადებული კონკურსის მასალები
- შინაგანაწესი;
- მორიგეობის განრიგი;
- ექიმის პოზიციაზე გამოქვეყნებული განაცხადები;
- საქმისწარმოების წესი;

- ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება;
- ბრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დამტკიცების შესახებ;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- მრჩველთა საბჭოს სხდომის ოქმები;
- რეფერირების წესი;
- უსაფთხო სკოლის დოკუმენტი
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა.

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; 2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა). *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.* **ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომლის მიხედვით, დაწესებულების მისამართია:ქალაქი ზუგდიდი, აღმაშენებლის N1, უძრავი ქონების საიდენტიფიკაციო ნომერია 21998957746 სკოლას სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს ქონება სახელმწიფოსგან არსებობის ვადით. სკოლის შენობა ერთი ძირითადი (ორი სართული) და ერთი დამხმარე კორპუსებისგან შედგება. პირველი სართულის საერთო ფართია - 2192,5 კვ.მ, მეორე სართული - 1912,3 კვ.მ, სულ 4104,6 კვ.მ. დამხმარე შემონის მთვლიანი ფართია, 449,8, აქედან 279.6 კვ.მ გამოყენებულია სკოლის სარგელობისთვის, ხოლო 170.2 კვ.მ გამოიყენება ბუფეტისთვის.

ძირითადი შენობის **პირველ სართულზე** განთავსებულია- დარაჯის ოთახი, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, საბუნებისმეტყველო საგნების ორი ლაბორატორია, რომლებიც აღჭურვილის თანამედროვე სტანდარტებით და იგრძნობა, რომ სასწავლო პროცესში სრული დატვირთივ მუშაობს, ორი სპორტული დარბაზი, ერთი დიდი და მეორე -მცირე, საშხაპეები, სპორტული ინვენტარის შესანახი ოთახი, 21 საკლასო ოთახი და სველი წერტილები, მათ შორის ორი შშმ პირებისთვის ადაპტირებული.

მეორე სართულზე- დირექციის სამი ოთახი, 17 საკლასო ოთახი, სააქტო დარბაზი, ბიბლიოთეკა, სველი წერტილები, სამასწავლებლო, დამლაგებლის ოთახი, ორი კომპიუტერული ლაბორტორიაა განთავსებული; სკოლა ორ ცვლაში ახორციელებს სწავლებას, ვიზუალური დათვალიერებით საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით და სკამებით, დაფებით, კარადებით, დამხმარე ინვენტარით,ინვენტარი ვიზუალურად სუფთა და მოწესრიგებულია. სკოლის ახალი შენობის მშენებლობა დასრულდა 2022 წლის სექტემბერში, რის გამოც სწავლა დაიწყეს 26 სექტემბერს. სკოლამ წარმოადგინა სამინისტროსთან შეთანხმება სწავლის გვიან დაწყებასთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა შპს „სამეცნიერო საპროექტო ტექნოლოგიური საწარმო ინდუსტრიის“ მიერ შემუშავებული დასკვნა, რომელიც საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერაა დაკვეთილი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის; დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის ბიბლიოთეკით სარგებლობის

წესები, რომელთა მიზანია სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ეფექტურად წარმართვის უზრუნველყოფა. ცალკეული საგნობრივი პროგრამების მიზნების მიღწევის ხელშეწყობა და გამჭოლი კომპეტენციების განვითარება. სარგებლობის წესის თანახმად, სკოლის ნებისმიერ წევრს შეუზღუდავად შეუძლია ისარგებლოს ბიბლიოთეკით და მასში განთავსებული წიგნადი ფონდით. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღიურად 09:00 საათიდან 17:00 საათამდე. სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი, რომელიც ეხმარება მოსწავლეებს და თანამშრომლებს ინტერესებისა და საჭიროებების შესაბამისად, წასაკითხი მასალის შერჩევაში. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტი ხელს უწყობს სკოლაში საგაკვეთილო, საინფორმაციო მუშაობის ორგანიზებას.სკოლაში არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი დანადგარებითა და რესურსებით, საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები აქტიურად იყენებენ ლაბორატორიებს. შესაბამისად, სწავლის შედეგების უზრუნველყოფისთვის არის შესაბამისი სივრცე ორგანიზებული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს; სკოლაში ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სკოლაში ყველა პირობაა იმისათვის, რომ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეს ჰქონდეს კომფორტული სასწავლო გარემო და იყოს უზრუნველყოფილი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული განათლების მიღების შესაძლებლობით. სკოლაში გამოყოფილია რესურს ოთახი, ადაპტირებული სველი წერტილი, სართულებზე გადაადგილების დროს შეუძლია ისარგებლოს ლიფტით. სკოლაში შექმნილია ადაპტირებული გარემო, რათა დაცული იყოს შშმ პირთა ინტერესები. სკოლის შემოსასვლელში დამონტაჟებულია პანდუსი, შენობის სართულებზე გადასაადგილებლად, კი სკოლას აქვს ლიფტი, რომელიც ამ ეტაპზე არ ფუნქციონირებდა, რადგან სკოლას არ ჰყავს შშმ მოსწავლე. მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილები. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები (ბიბლიოთეკა, სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, ლაბორატორიები, ეზო) ხელმისაწვდომია სსსმ მოსწავლეთათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას სკოლის ინფრასტრუქტურა იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. აქვს ეზო, რომელიც მეტ-ნაკლებად გამწვანებულია. სკოლას აქვს გარე მოედანი. ეზოში და სკოლის შენობის შიგნით არის რეკრეაციული სივრცეები, რომელსაც სკოლის დირექტორის ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ იგეგმება მათი კეთილმოწყობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა). სკოლას გააჩნია რესურსები სასწავლო პროცესის ხარისხიანად განსახორციელებლად. სკოლას აქვს შემდეგი საგანმანათლებლო რესურსები: გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელო/სერია; სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (რუკები, პლაკატები, მოდელები და სხვ.). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საევაკუაციო გეგმა;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- ვიზუალური დათვალიერებით;

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;**

სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლაში არის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ორი ლაბორატორია. სულ სკოლაში არის 61 კომპიუტერი; მასწავლებლებისათვის გადაცემულია 19 ლეპტოპი, საერთო გამოყენებისთვის სკოლაში არის 6 პროექტორი; 7 ცალი

პრინტერი, ყველა კომპიუტერი არის მუშა მდგომარეობაში, 48-მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის კომპიუტერულ ლაბორატორიებში; 1-ბიბლითეკაში, 1- რესურსოთახში, 11- ადმინისტრაციისთვის და დირექციისთვის. სკოლაში დასაქმებულია ინფორმაციულ და საკომონუკაციო ტექნოლოგიების საგანის სამი მასწავლებელი. ისინი საჭიროებისამებრ ეხმარება სკოლის თანამშრომლებს ტექნიკური პრობლემების გადაჭრაში და უზრუნველყოფენ კომპიუტერული ტექნიკის ტექნიკურ გამართულობასა და პროგრამულ მხარდაჭერას. სკოლაში არ არის უსადენო ინტერნეტქსელი, ყველა კლასში შეყვანილია ინტერნეტის სადენი, რომელიც დაკავშირებულია ყველა კომპიუტერთან და უზრუნველყოფს ინტერნეტის გამართულ მუშაობას. სკოლის დირექცია და ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია საჭირო კომპიუტერული ტექნიკით, პრინტერით, სკანერის აპარატით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.** სკოლის მოსწავლეებსა და თანამშრომლებს უფლება აქვთ გამოიყენონ კომპიუტერული ლაბორატორია და სხვა ტექნიკა საგანმანათლებლო მიზნებისთვის და სკოლა უზრუნველყოფს მის თანაბარ ხელმისაწვდომობას. სკოლას შემუშავებული არ აქვს კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის განრიგი. შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც გამოკრულია კომპიუტერული ლაბორატორიის ორივე სივრცეში.დირექტორთან საუბრისას დასტურდება, რომ საჭიროების შემთხვევაში ყველა მოსწავლე და მასწავლებელი ახერხებს საჭირო რესურსით სარგებლობას. .**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერებით.
- ინტერვიუ;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;** სკოლა საქმისწარმოებას ახორციელებს მის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების ერთიანი წესის შესაბამისად. აღნიშნული წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს სკოლის მმართველობით საქმიანობისთან დაკავშირებული დოკუმენტბრუნვის, დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. სკოლაში საქმისწარმოების პროცესზე პასუხისმგებელია საქმეთამმართველი. ის უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულად მუშაობას; უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოძრაობისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელებას; სკოლის არქივის დაცვასა და მოთხოვნის საფუძველზე შესაბამისი დოკუმენტაციის დამოწმებული ასლის გაცემას; საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას; იღებს შემოსულ კორესპოდენციას, ამუშავებს და არეგისტრირებს ელექტრონულ სისტემაში; უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. დოკუმენტბრუნვა მოიცავს სამი სახის დოკუმენტაციას:

ა) შემოსული დოკუმენტაცია;
ბ) გასული დოკუმენტაცია;
გ) შიდა დოკუმენტაცია.

შემოსულ დოკუმენტაციას განეკუთვნება ყველა ის კორესპონდენცია, რომელიც შემოდის სკოლაში სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებიდან, ორგანიზაციებიდან (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა), დაწესებულებებიდან, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, უცხო სახელმწიფოებიდან, განცხადებების, წერილების, საჩივრების, დადგენილებების, გადაწყვეტილებების, ბრძანებების, მითითებების, ინსტრუქციების, სხვადასხვა ტიპის ანგარიშების, წერილების, აქტების სახით; ასევე ფიზიკური პირების წერილები, საჩივრები, განცხადებები. გასულ დოკუმენტაციას განეკუთვნება ყველა ის კორესპონდენცია, რომელიც გადის სკოლიდან განცხადებების, წერილების, საჩივრების, დადგენილებების, გადაწყვეტილებების, ბრძანებების, მითითებების, ინსტრუქციების, სხვადასხვა ტიპის ანგარიშების, წერილების, აქტებისა და ცნობების სახით. სკოლის შიდა დოკუმენტაცია წარმოადგენს სკოლის მიერ თავისი კომპეტენციის ფარგლებში შექმნილ სხვადასხვა ტიპის აქტებს - ბრძანებებს, წერილებსა და შრომით

ხელშეკრულებებს. დირექტორის გადაწყვეტილებები გამოიცემა ბრძანების სახით, კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

საქმისმწარმოებელი არ ახორციელებს სასკოლო დოკუმენტაციის აღრიცხვასა და რეგისტრაციას. სკოლაში არ არის მატერიალური ჟურნალი, სადაც მოხდება დოკუმენტაციის გატარება. ამით ირღვევა სკოლის მიერ შემუშავებული შიდა დოკუმენტი „საქმისწარმოების წესი", სადაც საქმისმწარმოებლის ფუნქციებში გაწერილი აქვთ ჟურნალის წარმოება. Eflow-ს ბაზაში სკოლას გატარებული აქვს შემოსული და გასული დოკუმენტები. თუმცა, თანამშრომელბთან გაფორმებული ხელშეკრულებების გატარება არსად არ ხდება. სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესის თანახმად, სკოლაში ამ მიმართულებით არ ხდება რეგულაციების დაცვა, კერძოდ, არ ხორციელდება მატერიალური ჟურნალის წარმოება და პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების აღრიცხვა/გატარება.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6..2.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 03.09.2023 – 15.09.2023წწ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", შეფასდა როგორც „შეესაბამება". სკოლამ დაიწყო მატერიალური ჟურნალის წარმოება. მტკიცებულებად გადმოაგზავნა აღნიშნული ჟურნალი. შესაბამისად ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.</u>

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა; სკოლა იყენებს საქმისწარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებს. Eflow სისტემაში გატარებულია ყველა დოკუმენტი. სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს ერთიანი ბაზის სისტემა, რომლის მხარდაჭერას უზრუნველყოფს სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა. სისტემაში შეყვანილია სკოლის ძირითადი ინფორმაცია, სკოლის პერსონალის მონაცემები, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემები, საკონტაქტო ინფორმაციები. აღნიშნულ ბაზაში მუშაობს საქმეთამმართველი. მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის პროცესი წარიმართება eSchoolს სისტემის მეშვეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზ0ოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; სკოლას აქვს eSchool.emis.ge-ს საკუთარი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. სკოლის საინფორმაციო ბარათში შეყვანილია ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საგანმანათლებლო სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირს და ინფორმაციას საგანმანათლებლო

მარეგულირებელ უწყებებს. აღნიშნული დასტურდება Eflow სისტემაში შერჩევითი პრინციპით გაგზავნილი დოკუმენტაციის შესწავლით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები. საქმისწარმოების წესი;

- ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- ინტერვიუს შედეგებით.
- საქმისწარმოების წესი;
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო

სკოლა

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის

სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ-გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;**

სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი. ვიზიტამდე სკოლის დირექტორმა წერილობით მიმართა მართვის საინფორმაციო სისტემას, ვებ-გვერდის შექმნის მიზნით. სკოლას აქვს სოციალური ქსელის გვერდი https://shorturl.at/wCVXZ , სადაც თავსდება მიმდინარე და განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების (სასწავლო პროექტების, კონკურსების, ინტელექტუალური შეჯიბრებების, ოლიმპიადების და სხვა) შესახებ სხვადასხვა ინფორმაცია. სოციალურ ქსელში შექმნილია ჯგუფები (კლასების, მასწავლებლების, მშობლების), რომლის საშუალებით ჯგუფის წევრებს მიეწოდებათ სხვადასხვა სახის ინფორმაცია. სკოლის სოციალური ქსელი არის ღია, საჯარო და ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელსაც ხედავენ შესაბამისი მასწავლებლები და მშობლები. ასევე, ინფორმაციის მიწოდება, მიღება და დამუშავება ხდება სკოლის ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.1 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 03.09.2023 – 10.10. 2023წწ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლის შესაბამისობის გეგმაში ვკითხულობთ, რომ ემისის პორტალზე შექმნილია სკოლის გვერდი. ამ ეტაპზე აღნიშნულ გვერდს არ იყენებს სკოლა საზოგადოებასთან ურთიერთობის კუთხით, თუმცა შესაბამისობის გეგმაში გაწერილია, რომ მოხდება ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა და ამის შემდეგ მოხდება, ვებ-გვერდით აქტიურად სარგებლობა. რეკომენდაცია - სკოლამ განახორციელოს საზოგადოების ინფორმირება და კომუნიკაცია ვებ-გვერდის მეშვეობით.</u>

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;** სკოლის სოციალურ ქსელში განთავსებულია ინფორმაცია სკოლაში განხორციელებული აქტივობების, მიღწევების შესახებ. აღნიშნული ინფორმაცია არის უტყუარი და სანდო. აღნიშნული ინფორმაციისა და სიახლეების სანდოობა დასტურდება ჩატარებული ღონისძიებების, პროექტების, შეჯიბრებების ამსახველი ფოტომასალით, ასევე, სკოლის დირექცია იღებს პასუხისმგებლობას გავრცელებული ინფორმაციის სისწორეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლა შემუშავებული არ აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი. ინტერვიუს დროს კლასის დამრიგებლებმა და სკოლის დირექტორმა განაცხადეს, რომ მშობლებთან კომუნიკაცია ხდება დამრიგებლის მეშვეობით. ასევე, განსაზღვრულია პარასკევი დღე, როგორც მშობლების დღე. ამ დღეს მოდიან მშობლები და სურვილის და საჭიროების მიხედვით ესაუბრებიან მასწავლებლებს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

სკოლას არ აქვს ვებ-გვერდი, დაწესებულებას ვიზიტის პერიოდში უკვე გაგზანილი ჰქონდა კორესპონდენცია სსიპ მართვის საინფორმაციო სისტემისთვის ვებ-გვერდის შექმნის მხარდაჭერისთვის.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.4 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 03.09.2023 – 10.10. 2023წწ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ განსაზღვროს პასუხისმგებელი პირი და განათავსოს ინფორმაცია ვებ-გვერდზე.</u>

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლას სოციალურ ქსელში გამოქვეყნებული არ აქვს მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია და სხვ.

<u>სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 3.6.3.5 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 03.09.2023 – 10.10. 2023წწ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. რეკომენდაცია - სკოლამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებების, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციის და სხვ. აუცილებელი ინფორმაციის განთავსება ვებ-გვერდზე.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწესებულების სოციალური ქსელი;
- ინტერვიუს შედეგებით; დაწესებულების მიერ გაგზავნილი კორესპონდენციით მართვის საინფორმაციო სისტემაში;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდინ N1 საჯარო სკოლის შესაბამისობის

გეგმა.

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;** სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერი.

სკოლას დამატებითი დაფინანსების წყაროა კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული ფინანსური სახსრები, მათ შორის იჯარა, რომელიც ასახულია სკოლის ბიუჯეტში და რომელიც მიემართება სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობების განხორციელებზე.**ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. **სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.**

წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოს ოქმების მიხედვით,სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ფინანსური რესურსების განკარგვის და მონიოტრინგის შედეგებს; სკოლის ბიუჯეტის დამტკიცება ხდება სამეურვეო საბჭოზე, ხოლო მისი შემუშავება სკოლის დირექტორის განმარტებით გასული წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის საფუძველზე მიმდინარეობს.აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დამტკიცებული ბიუჯეტით;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებით;
- ეკონომიკური საქმიანობით მიღებული დაფინანსების ანალიზის შედეგებით;

სკოლის ფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგებით.

- სკოლის ბიუჯეტის პროექტი;
- საიჯარო ხელშეკრულებები

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o
შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;** სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლის უფლებები და ვალდებულებები, განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომის სახეები, სახდელები, დისციპლინური სახდელის შეფარდების, მოხსნისა და დისციპლინური სამართალწარმოების ვადები. შინაგანაწესში გაწერილია როგორც დისციპლინური საქმისწარმოება, ასევე გვხვდება ინფორმაცია მოსწავლის წახალისების შესახებ. წახალისების ფორმებად სკოლას დადგენილი აქვს : მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება და ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. იმის დასტურად, რომ სკოლა აღნიშნულ პრაქტიკას იყენებს, სკოლაში ვიზიტის დროს წარმოგვიდგინეს მოსწავლეთა და თანამშრომელთა წახალისების მტკიცებულებები, ბრძანებები. შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული მოსწავლეების პირადი საქმეების შესწავლით დასტურდება, რომ პირად საქმეში ინახებოდა კანონით განსაზღვრული დოკუმენტები, სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ზოგადი წესები და პირობები. მოსწავლეთა გაცდენის და საფეხურის დაძლევის საკითხები რეგულირებულიაა სასკოლო სასწავლო გეგმით. ცალკე ბრძანებით არის დამტკიდებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;** სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, ხოლო დამრიგებლების ფუნქციებში გაწერილია შინაგანაწესის გაცნობის ვალდებულება მოსწავლეთათვის. ჰარდა ამისა სკოლაშო არსებობს შინაგანაწესის გაცნობის აქტი, სადაც

მშობლები, მასწავლებლები აწერენ ხელს, რითიც ადასტურებენ შინაგანაწესის გაცნობას. აქედან გამომდინარე მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოებასთან; აღნიშნულის გათვალისწინებით **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.** სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების ნომერი და თარიღი, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი, მხარეთა უფლება/მოვალეობები, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, მხარეთა პასუხისმგებლობა, დამატებითი პირობები და შინაგანაწესის გაცნობა. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის მშობელთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გასაფორმებული კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულების ნიმუში, თუმცა არცერთი ხელშეკრულება არ არის გაფორმებული. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ შემდეგი წლიდან ყველა მოსწავლის მშობელთან მოხდება ხელშეკრულების გაფორმება.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა 4.1.1.3 ინდიკატორის მიმართებით, სადაც შესაბამისობის უზრუნველყოფის ვადად მითითებულია 15.09.2023 – 15.09 2023წწ. შესაბამისად ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, შეფასდა როგორც „შეესაბამება“. სკოლამ მტკიცებულების სახით გადმოაგზავნა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ელშეკრულების რამდენიმე ნიმუში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებების შაბლონი.
- ბრძანება „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი“
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- მოსწავლეთა პირადი საქმეები
- სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლის შესაბამისობის გეგმა;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

2 სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ზუგდიდის სახელობის N1 საჯარო სკოლა ხელმძღვანელობის ბრძანებით - „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი“, სადაც დეტალურადაა გაწერილი ყველა პროცედურა. აღნიშნული ბრძანების საფუძველია „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანება დოკუმენტაციის გაცნობისას ჩარიცხვა/ამორიცხვა, სტატუსის შეჩერება ხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; 2023 წლის 25 ივლისის N20508 ბრძანებით სკოლას ცალკე დოკუმენტად აქვს დამტკიცებული მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool შესწავლით, სკოლაში მოს მწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებებს. აღნიშნული მომსახურებები არის უფასო და შექმნილია სკოლის მასწავლებლების მიერ. ამ ეტაპზე სკოლაში ფუნქციონირებს სამი კლუბი. სკოლას წარმოდგენილი აქვს ყველა კლუბის დებულება, მუშაობს პროცესი ფოტომასალის სახით და კლუბების ანგარიშები. სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს ვებგვერდი, შესაბამისად იყენებს ალტერნატიულ საშუალებებს ინფორმაციის გაზიარებისთვის. მაგალითად, სოციალურ ქსელებში კლასებს აქვთ ჯგუფები. სკოლის შენობაში, საკლასო ოთახებში გამოფენილია მოსწავლეების მიერ შესრულებული პროექტები. სადამრიგებლო პროგრამებში გაწერილია ასაკის შესაბამისი აქტივობები და სწავლის დასაწყისში ხორციელდება მშობლის ინფორმირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლაში დასაქმებულ პირებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია სკოლაში ვიზიტისას ან მშობლის დამრიგებელთან კომუნიკაციის საშუალებით. ინფორმირების ძირითადად წყაროდ დამრიგებელი სახელდება ან საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე მიმართავენ დირექტორს/ადმინისტრაციის წარმომადგენელს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესი;
- საინფორმაციო სისტემის Eschool-ის ბაზა;
- მოსწავლეთა ჩარიცხვის/ამორიცხვის/სტატუსის შეჩერების ბრძანებები;
- ინტერვიუს შედეგებით.
- კლუბის წესდება და ანგარიში
- ფოტომასალა
- ბრძანება „მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმი“

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; 6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;** სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლას ცალკე დოკუმენტაციად შემუშავებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი. აღნიშნული დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი მოსწავლის ადაპტაციის პერიოდი, ცალკეა გამოყოფილი პირველკლასელთა ადაპტაციისთვის შემუშავებული წესები. მასწავლებლის, თანაკლასელების, მშობლის როლი ამ პროცესში. აღნიშნულ დოკუმენტში ასევე გვხდება სავარაუდო კითხვარი, რომელსაც მოსწავლე სკოლაში გადმოსვლის შემდეგ შეავსებს. დოკუმენტში ცალკეა რეკომენდაციები მშობლებისთვის, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან. კლასის დამრიგებლებთან გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ისინი სხვადასხვა აქტივობებს ატარებენ ახალი მოსწავლის ადაპტაციის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;** ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. დამრიგებელი მუდმივად ზრუნავს ახალ მოსწავლეებზე. პირველკლასელებს აქვთ საშუალება, დაწვრილებით გაეცნონ სასკოლო გარემოს. სხვადასხვა ღონისძიებების, შეხვედრებისა და აქტივობების საშუალებით სკოლა ცდილობს პირველკლასელთა სასწავლო გარემოსთან შეგუებას. სკოლაში მობილობით შემომატებულ მოსწავლეებს რთავენ სხვადასხვა სპორტულ თუ

ინტელექტუალურ აქტივობებში, რაც მათ ადაპტაციას აადვილებს. დამრიგებელი ახალ მოსწავლეებს აცნობს ცხრილს, სკოლაში და კონკრეტულ კლასში დამკვიდრებულ მიდგომებსა და ტრადიციებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;**

სკოლას გაწერილი არ აქვს დოკუმენტი მოსწავლეთა კონსულტაციასა და მხარდაჭერისთვის. სკოლის დირექტორთან გასაუბრებისას, მან აღნიშნა რომ საგნის მასწავლებლებლები საჭიროების მიხედვით უტარებენ კონსულტირებას. ძირითადად, ეს ხდება სწავლის დასრულების შემდგომ არასაგაკვეთილო დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება. მაგალითად მოთხოვნის საფუძველზე მოსწავლის მშობლისათვის მოსწავლის ცნობის ან დახასიათების მომზადება, რაც შემოსული და გაცემული დოკუმენტაციის ჟურნალებში დასტურდება.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;** სკოლას გაწერილი აქვს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მხარდამჭერი პროცედურების აღმწერები. სკოლას ასევე კლუბის დებულების სახიით გაწერილი აქვს არაფორმალური აქტივობები. სკოლის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ სკოლაშ ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, აქტივობები, როგორც საკლასო, ასევე სასკოლო დონეზე. დირექტორთან გასაუბრებისას მან აღნიშნა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა გამოთქვამს ინიციატივებს და ეს მათი ძლიერი მხარეა. მოსწავლეთა თითმმართველობის მიერ არაერთი პროექტი ჩატარდა, მოწვეული ჰყავდათ სკოლაში ცნობილი ადამიანები და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.**

სკოლას წარმოდგენილი აქვს კვლევები, რომლებიც ჩატარებული აქვს საჭიროებების დასადგენად. ძირითადად, აღნიშნული კვლევა ეხება მშობელთა კმაყოფილებას. არ არის წარმოდგენილი არცერთი მტკიცებულება, სადაც გამოჩნდება მოსწავლეთა საჭიროებების, ინტერესების კვლევა და შემდეგ შესაბამისი ნაბიჯების დაგეგმვა. სკოლის დირექტორთან ინტერვიუს დროს, მან აღნიშნა, რომ მოსწავლეები თავიანთ საჭიროებებს პირადად უზიარებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ინტერვიურება მასწავლებლებთან, დირექციასთან;

- მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სკოლის მიერ ჩატარებული კვლევები;
- ფოტომასალა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1 კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

2 სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

3 სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;** პროფესიული ორიენტაცია სკოლისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან. მემორანდუმის მიზანია სკოლის მოსწავლეებისთვის პროფესიული უნარების განვითარება. კონკრეტულად აღნიშნული მემორანდული ეხება საექთნო საქმეს. სკოლის დირექტორის თქმით, ზუგდიდის N1 სკოლის არაერთი მოსწავლე დაინტერესდა ამ საქმით. გარდა ამისა დამრიგებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ სხვადასხვა პროფესიის მშობლებს იწვევენ სკოლაში და ისინი მოსწავლეებს თავიანთ პროფესიაზე ესაუბრებიან. კლუბის ფარგლებში მოწვეული ჰყავდათ ექიმი. პროფესიული ორიენტაციის აქტივობების ფარგლებში ქიმიის მასწავლებელმა დანერგა ასეთი პრაქტიკა „მოსწავლე-მასწავლებელი“. მისი თქმით, მოსწავლეები აქტიურად ჩაერთნენ ამ პროცესში და დაინტერესდნენ მასწავლებლის პროფესიითაც. სკოლაში ფუნქციონირებს მეწარმეობის კლუბი, რომლის ფარგლებშიც სკოლაში მოწვეული იყო სტუმარი, რომელიც მოსწავლეებს ზოგად საკითხებზე ესაუბრა. სკოლის დირექტორის თქმით, არაერთი პროფესია მოსინჯეს ბავშვებმა. ფოტომასალით დასტურდება, რომ მოსწავლეებმა სხვადასხვა პროფესიები მოერგიეს. მაგალითად, სტილისტი; ოქრომჭედელი, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის სამკერვალო და კომპიუტერული გრაფიკა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;** სკოლის დირექტორთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ დამამთავრებელ კლასებში მოსწავლეები ეცნობიან საქართველოში არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შეთავაზებებს. სკოლა აწვდის ინფორმაციას შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სერვისების შესახებ, ასევე ხორციელდება შეხვედრები პროფესიული კოლეჯების წარმომადგენლებთან, რომლებიც აცნობენ მოსწავლეებს თავისი სერვისების შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.**

სკოლის მიერ განხორციელებულ გამოკითხვებში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით კითხვები არ იყო დაფიქსირებული, მხოლოდ ერთი კვლევა იყო წარმოდგენილი სადაც, ბავშვებს და მშობლებს ეკითხებიან მეწარმეობის შესწავლის თაობაზე. თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს და ცდილობენ მოსწავლეთა საჭიროებებს მოერგენ შესაძლებლობების ფარგლებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პროფესიულ კოლეჯთან გაფორმებული მემორანდუმი;
- ინტერვიუირება მასწავლებლების, დირექციასთან;
- მეწარმეობის კლუბის ანგარიში;
- ფოტომასალა

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;** სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების კონცეფცია, რომელიც შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმაში დეტალურად აქვს გაწერილი: რა მოიაზრება ცნებაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე; ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლე; რა პროცედურებით ხდება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების დადასტურება; სკოლის ვალდებულება სსსმ მოსწავლისთვის ეროვნული სასწავლო გეგმის მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოსთან ადაპტაცია, როგორ უნდა მოახდინოს მოსწავლისთვის ესგ-ს მოდიფიკაცია, სასწავლო გარემოს აკომოდაცია, ალტერნატიული სასწავლო მიზნების შემუშავება და სხვ. სკოლაში არის 13 სსსმ მოსწავლეა, აქედან ერთი მოსწავლე -შინ სწავლებაზე. შემუშავებულია განრიგი რის მიხედვითაც ყველა საგნის მასწავლებელები მიდის მოსწავლესთან სახლში და უტარებს გაკვეთილებს. თითოეულ მათგანზე შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი ისგ ჯგუფი (ისგ ჯგუფის ფუნქციები; მონიტორინგის პროცესი.); **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.** სკოლაში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების 13 (ცამეტი) მოსწავლე ირიცხება. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმის ჯგუფის შექმნის და მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანებები. ინკლუზიური განათლების კონცეფცია არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი. სკოლის მიერ შექმნილ ინდივიუალური საწავლო გეგმების შემუშავების ჯგუფებში ჩართულები არიან როგორც სპეცმასწავლებელი, დამრიგებელი და საგნების მასწავლებლები, ასევე მშობლები. სკოლა იყენებს მოსწავლეების განვითარებაზე ორიენტირებულ განმავითარებელი შეფასების სისტემას. აქვს კონკრეტულ სსსმ მოსწავლეზე მორგებული და ადაპტირებული კომპლექსური დავალებების შექმნის გამოცდილება. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2022-2023 სასწავლო წლისთვის შედგენილი ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- კოლის შიდა მონიტორინგის მექანიზმები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინდ. გეგმის შემუშავების ჩარჩო დოკუმენტი;
- რესურს ოთახი, შესაბამისი რესურსებით;
- სპეციალურ მასწავლებლებთან დადებული

ხელშეკრულებით; ინტერვიუს შედეგებით;

- ვიზუალური დათვალიერებით.

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში); სკოლას არ აქვს დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურებები. მათ არ აქვთ გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვ. სკოლას იჯარით აქვს გასხვისებული ბუფეტის ფართი და ასევე სპორტული დარბაზი. გახანგძლივებული სწავლების დაორგანიზება ვერ ხერხდება, რადგან სკოლა მუშაობს ორ ცვლაში და საკლასო სივრცის საჭიროება არის მთელი დღის განმავლობაში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

სსიპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ზუგდიდის N1 საჯარო სკოლა კლუბების სახით ახორციელებს დამატებით არასავალდებულო მომსახურებებს. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მოსწავლეები ძალიან აქტიურად არიან ჩართულნი ქიმიკოსთა კლუბსა და მეწარმეობის კლუბში. წარმოდგენილია კლუბების წესდება, სამოქმედო გეგმები, რეფლექსიები. არაფორმალური განათლება, დირექტორის თქმით ძალიან ძლიერი და საამაყო მხარეა სკოლისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. ამ ეტაპზე სკოლა არ ახორციელებს დამატებით მომსახურებას. გაფორმებული აქვთ საიჯარო ხელშეკრულება ბუფეტის სარგებლობასთან დაკავშრებით, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისი და შეთანხმებულია. დათვალიერების შედეგად ბუფეტის ტერიტორია უსაფრთხოა, გარდა ამისა, სკოლას გაფორმებული აქვს კიდევ ერთი საიჯარო ხელშეკრულება სპორტული დარბაზის სარგებლობასთან დაკავშირებით. ქართული ცეკვის სტუდია ფუნქციონირებს სპორტულ დარბაზში საგაკვეთილო პროცესის შე,დეგ. როგორც სკოლის დირექტორმა აღნიშნა, უფრო მეტად არ ტვირთავს სკოლის შენობას, რადგან ხელი არ შეეშალოს საგაკვეთილო პროცესს. **ინდიკატორი დამაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები): *კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინტერვიუს შედეგებით.
- საიჯარო ხელშეკრულება;
- სივრცის დათვალიერება;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი;
- სამინისტროს თანხმობა ფართის იჯარის გაცემასთან დაკავშირებით

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.1 კურიკულუმის შემუშავება

2.1.1 კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოებს ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობებს

სკოლას წარმოდგენილი აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტი. ამ დოკუმენტით განსაზღვრულია: კონცეპტუალური ჩარჩო (ესგ-ს მოთხოვნები, სკოლის ფილოსოფია); კურიკულუმის დიზაინი (კურიკულუმის სტრუქტრული ერთეულები, დანერგვის ინსტრუმენტები, შუალედური სასწავლო მიზნები, სასკოლო საზოგადოების წევრების ფუნქციები და მონაწილეობის ფორმები

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კურიკულუმის განვითარების პროცესში, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება და ა.შ.). კათედრა ახერხებს სასწავლო მიზნების განსაზღვრას.

ინტერვიუს დროს გამოჩნდა, რომ მიუხედავად იმისა რომ კურიკულემების წერის დროს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტი ჯერ სკოლას შემუშავებული არ ჰქონდა, კურიკულუმების შექმნისას კათედრა ხელმძღვანელობდა ყველა იმ პრინციპით,

რომელიც შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. კურიკულუმების შექმნაში მონაწილეობას იღებდა სასკოლო საზოგადოება თავად კათედრის წევრები ინგლისური, გერმანული, რუსული ენის მასწავლებლები, მუსიკის, სპორტისა თუ ხელოვნების მასწავლებლები, დირექცია, მოსწავლეები და მშობლებიც. ასევე სკოლას გააჩნია კურიკულუმის შემუშავების პრაქტიკა, პრაქტიკულ პროცესებში მშობლებიც აქტიურად არიან ჩართულნი, განსაკუთრებით კი სსსმ მოსწავლეების მშობლები. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ სამომამვლოდ გეგმავენ, მეტად ჩართონ სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შემუშავების პროცესში, გეგმავენ შეხვედრებს მშობლებთან და მოსწავლეებთან და მათ გამოკითხვას, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გაითვალისწინონ კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მოიწვიონ სხვადასხვა პროფესიის მშობლები (პოლიციელი, იურისტი, ფსიქოლოგი,ექიმი, მკერავი, დურგალი, მეხანძრე...) და ცნობიერების ამაღლების მიზნით უზრუნველყონ მათთან შეხვედრა, ამით მოსწავლეებს მიეცემათ საშუალება, რომ გაერკვნენ ამა თუ იმ პროფესიის მნიშვნელობასა და დანიშნულებაში. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა კიდევ ერთხელ დაადატურეს, რომ სასკოლო საზოგადეობა ჩართულია კურიკულუმის შემუშავებაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.1.1.2 კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადეობის ინტერესები

წარმოდგენილ დოკუმენტაციით და კათედრასთან ინტერვიუთი დგინდება, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. მაგალითად საგნობრივი კათედრების შედეგების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი საჭიროებები, რომელთა გათვალისწინებით ხდება საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება კათედრების მიერ, მასწავლებლები იყენებენ როგორც მოწოდებულ სანიმუშო კურიკულუმებს, ასევე ცდილობენ თავად შექმნან საკუთარი ორიგინალური, შემოქმედებითი და მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული კომპლექსური დავალებები. კურიკულუმებში ჩანს სასკოლო საზოგადოების დაინტერესება და ამ პროცესის ერთიანი ხედვა. შერჩეულ მრავალფეროვან სასწავლო თემებით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. თვითშეფასების ფორმაში მოცემულია მაგალითები უცხოური ენის კათედრის თანამშრომლობის დაწყებითის კათედრასთან, მაგალითად ის თუ როგორ ეს ორივე კათედრა მშობლების აქტიურ ჩართულობით გეგმავენ და ახორციელებენ სხვა და სხვა საკლასო და სასკოლო აქტივობას, თუ როგორ ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრებს და ინტერესებს. ინტერვიუს დროს ზემოდ ხსენებული მაგალითები დადასტურდა. კურიკულუმებში ასახულია სასკოლო თემის ინტერესები, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. კურიკულუმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა განსაკუთრებით მოსწავლეთა შესაძლებლობები, პრიორიტეტები და ინტერესები, რაც დადგინდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, კერძოდ მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობებით. კონკრეტულად, დაიგეგმა ახალი სასწავლო

წლიდან ყველა კლასში კომპლექსური დავალებების დამატება, რისთვისაც პედაგოგები მოიძიებენ და მოამზადებენ მოსწავლეებისთვის საინტერესო კონტექსტ-მაგალითებს. თითოეულ კომპლექსურ დავალებას დაურთავენ განმავითარებელი შეფასების რუბრიკას

აღსანიშნავია, რომ სკოლა არ იყო ჩართული ახალი სკოლის მოდელში და როგორც არაჩარტული სკოლა, საკუთარი ინიციატივიტ სისტემატიურად ესწრებოდნენ სხვადასხვა ტრენინგებს და ცდილობდნენ კურიკულუმები შესაბამისობაში ყოფილიყო მესამე თაობის ეროვნლ სასწავლო გეგმასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.1.1.3 კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადეობის მიერ

კურიკულუმის შექმნისას კათედრაზე აქტიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები, სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია რომ, ისინი წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, წარმოადგენენ ანგარიშებს, სამომავლოდ კი იგეგემება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული სასწვალო პროცესი. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული აქტივობები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი პროექტები ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდზე და კლასის სასაუბრო ჩატში იგზავნება. ასევე განიხილავენ მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრებზე და კათედრაზე, სადაც იგეგმება პრობლემის გადაჭრის გზები. შექმნილი კურიკულუმები ხელმისაწვდომია საჯარო სკოლის საზოგადოებისთვის. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები მორგებულია მოსწავლეთა შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, რაც კარგად გამოჩნდა მასწავლებლებთან ინტერვიუზე.

სამომავლოდ იგეგმება მშობელთა ჩართულობის გაძლიერება, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით კლუბებისა და წრეების შექმნა, აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკის განვითარებისა. შესაბამისად, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.1.1.4კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის თვითშეფასების ფორმიდან და ინტერვიუდან ირკვევა, რომ კურიკულუმების შემუშავებისას ხდება კეთედრებს შორის თანამშრომლობა, გაზიარება, უკუკავშირის გათვალისწინება. ასევე, სკოლა აპირებს სასწავლო წლის დასწაყისში შემუშავებული კურიკულუმები გაუზიაროს მოსწავლეებსა და მშობლებს. სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ თავისი როლი და პასუხისმგებლობა მათ მიერ შექმნილი კურიკულუმის განვითარებაში, ეს თავისთავად ნიშნავს იმას, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №15
- კათედრის ანგარიშები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის ოქმები;
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს.

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

სკოლის დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები სასწავლო პროცესზე ორიენტირებული პროგრამაა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება სახვადასხვა საგანში. დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილი კურიკულუმის დიზაინი ერთნაირი არაა ყველა კლასში, თუმცა ყველა კლასის კურიკულუმში ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე. ამ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნების დასახელება რომ არ ხდება ფორმალურად, ეს მასწავლებლებთან გასაუბრების დროსაც დაზუსტდა. სასურველია I-IV კლასის მათემატიკის კურიკულუმებში გაიწეროს ქვეცნებებიც, დაემატოს შუალედური მიზნებიც - კომპლექსური დავალებები. შემუშვებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შედეგები განისაზღვრება საფეხურის/ მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე (ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტებში წარმოდგენილია სამიზნე ცნებების სახით). კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელთა შესრულებასაც მოსწავლეს გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. გასაუბრების დროს კათედრის წევრებს მაგალითად მოჰყავთ წინარე გამოცდილება მსგავსი ტიპის კომპლექსური დავალების დანერგვის შემთხვევები.

თვითშეფასების ფორმაში ვკითხულობთ: „კურიკულუმში აქცენტს ვაკეთებთ გრძელვადიან მიზნებზე, კერძოდ სამიზნე ცნებებზე, შუალედურ მიზნებზე, რომელსაც კომპლექსური დავალება წარმოადგენს, ასევე საფეხურის ბოლოს მისაღწევ შედეგებზე, შეფასების კრიტერიუმებსა და მკვიდრი წარმოდგენების კავშირზე. ასევე კონსტრუქტივისტულ მიდგომებზე. ამ ყველაფერს ვაკვირდებით, ვაწარმოებთ მონიტორინგს და ვწერთ რეფლექსიებს . რის შემდეგადაც ვსახავთ სამომავლო გეგმებს.“ კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ

სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე კათედრა გეგმავს კურიკულუმის ჩარჩოების სრულყოფას, რომ კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, ეხმარებიან მოსწავლეებს გაიაზრონ რა გამოუვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოუტანა, რა ვერ შეძლეს,, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა და ა.შ. შესაბამისად მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს(გლობალურ-ფუნქციური უნარები) მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები.

დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში მოცემულია გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები, რომელთაც შეესაბამება კომპლექსური დავალებები, კონტექსტ მაგალითები, ამ ტიპის დავალებებზე მუშაობა მოსწავლისგან მოითხოვს პრობლემის იდენტიფიცირებასა და მისი გადაჭრის გზების ძიებას. დავალების შესრულებისას მოსწავლე ქმნის შემოქმედებით პროდუქტს, რიგი დავალებები ხელს უწყობს მოსწავლეში კრიტიკული აზროვნების, კვლევითი და მოქალაქეობრივი უნარების განვითარებას, კომპლექსური ბუნების დავალებების შესრულება მოითხოვს მეტაკოგნიციას და რეფლექსურობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ხასიათისა და პიროვნების ჩამოყალიბებას. სკოლის მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ მოსწავლეების ჯგუფებში მუშაობის, კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელებისა და ნამუშევრების წარდგენის გამოცდილება, ასევე, გააზრებული აქვთ ამ ტიპის დავალებების როლი მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვაში

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). კურიკულუმის ჩარჩოში კომპლექსური დავალების იდეები იმგვარადაა წარმოდგენილი, აქტივობების ეტაპები აუცილებლად მოითხოვს ფაქტების ანალიზსს, იდეების გენერირებას, მოსაზრებების დაცვას, შედარებას, დასკვნების გამოტანას, პრობლემის გადაჭრის გზების ძიებას, კურიკულუმის ჩარჩოში აღნიშნული დავალებების დანერგვის ეტაპზე აქტივობები ბუნებრივად შეუწყობს ხელს კრიტიკული აზროვნების, თანამშრომლობის, კომუნიკაციის, შემოქმედებითობის, ხასიათის ნებელობის, მოქალაქეობის უნარ-ჩვევების განვითარებას.

თვითშეფასების კითხვარში სკოლა წერს: „დაწყებით საფეხურზე აქტიურად ვახორციელებთ სხვადასხვა სასკოლო თუ სოციალურ პროექტებს, კომპლექსურ დავალებებს,კერძოდ სოციალური პროექტი „არტ თერაპია, ხელნაკეთი ნივთები საქველმოქმედო მიზენბისათვის“ რომელიც წარმატებულად განხორციელდა და დაინერგა სკოლაში, რომლის ფარგლებშიაც მოსწავლეებს უწევთ ჯგუფურად მუშაობა, პრეზენტაციების გაკეთება, რომლებიც მოსწავლეებში ანვითარებს შემოქმედებით აზროვნებას, აუმჯობესებს კომუნიკაციის უნარებს, ზრდის თანამშრომლობის ხარისხს, ანავითარებს კრიტიკულ აზროვნებას , ზრდის მოქალაქობრივ პასუხისმგებლობასა უნარს. ყოველივე ზემოთხსენებული თავის მხრივ ხელს უწყობს ფუნქციური უნარების განვითარებას.“ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუდრეს

ჩატარებულ სხვა და სხვა აქტივობაზე რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

სკოლა განიხილავს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა, ამისათვის მათ შემუშავებული აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. კურიკულუმში შეთავაზებულია კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც კათედრის წარმომადგენლებმა აღნიშნეს გასაუბრებისას, სსსმ მოსწავლეებისათვის ქმნიან მოდიფიცირებულ კომპლექსურ დავალებებს.

თვითშეფასების კითხვარში სკოლა წერს: „ჩვენი სკოლის სასწავლო პროცესი ორიენტირებულია დიფერენცირებასა და ინკლუზიაზე, რომელიც გულისხმობს ყველა მოსწავლის ჩართვას სასწავლო პროცესში მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით. ვახდენთ დავალებისა პროდუქტის დიფერეცირებას, როლის დროსაც ვითვალისწინებთ მოსწავლის განვითარების აქტუალურ ზონას, რომელსაც ვადგენთ წინარე ცოდნის გააქტიურებით, სხვადასხვა მაორგანიზებელი სქემების გამოყენებით.“ ინტერვიუს დროს კათედრის წარმომადგენლები დაადასტურეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების არსებობა, მაგრამ ვერ შეძლეს მყაფიოდ დაედასტურებიათ საგაკვეთილო პროცესში დიფერენცირებული მიდგომები, მოყვანილი მაგალითები იყო ზედაპირული. მიუხედავად ამისა კათედრამ დაამტკიცა რომ სასწავლო პროცესში ითვალისწინებს დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები ეფუძნება საგნობრივ კურიკულუმში, მოსწავლეთა შეფასების ამსახველ დოკუმენტებში გრძელვადიან მიზნებს. კათედრის წევრებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ შეფასებას სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

კათედრამ წარმოადგინაა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა ზედა საფეხურზე, რადგან ერთი და იგივე მასწავლებლები მე-5 მე-6 კლასშიც ასწავლიან აქვთ მზაობა, შექმნან ყველა თემისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ განმსაზღვრელი შეფასების როლი სწავლის შედეგების აღწერასა და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით.

რაც შეეხება განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, წარმოადგინეს ცალკე ფაილად რამდენიმე ნიმუში, ასევე ჩაშენებულია მათ მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების ბარათებში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კათედრას ესმის განმავითარებელი შეფასების რუბრიკების როლი, ისინი მოსწავლის შესახებ აგროვებს მონაცემთა ფართო სპექტრს, მათზე დაყრდნობის მასწავლებელს

უკეთესადშეუძლია ხელი შეუწყოს მოსწავლის განვითარებას. წარმოდგენილი რუბრიკებით შესაძლებელია თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკის კონტროლი და ხელს უწყობს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას. ინდიკატორი კრიტერიუმთან შეაბამისაობაშია.

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულის წინარე გამოცდილების ანალიზი

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციეს წავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაცია გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს. მათ კურიკულუმში შეიტანეს მათ მიერ უკვე განხორციელებული კომპლექსური დავალებები, გამოთქვეს მზაობა რომ მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირის, რეფლექსიის შედეგების და წინარე გამოცდილების გათვალისწინებით გადაამუშავებენ და დახვეწავენ კურიკულუმებს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსურიო დავალებები
- კათედრის ანგარიშები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- კომპლექსურ დავალებაში გამოყენებული შესაბამისი რესურსები.
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძლება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

კურიკულუმში შეტანილი დავალებები, წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათები, საშუალებას აძლევს მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვისა და განხორციელების გზით. კათედრამ ამის დასტურად გარდა კურიკულუმისა, კომპლექსური დავალების ბარათებისა,წარმოადგინა მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებიც.

მასწავლებლები სასწავლო პროცესში იყენებენ მრავალფეროვან ელექტრონულ რეურსებს და უახლოეს პერიოდში სასურველია სრულად ასახონ კურიკულუმში რესურსების ველში (კათედრის ანგარიშიში წარმოდგენილია ფოტოები, როემლიც ადასტურებს, რომ აქტიურად იყენებენ კომპიუტერულ კლასებს და ონლაინ რესურსებს). გააზრებული აქვთ, რომ ახალი მასალის, ინფორმაციის დამუშავების პორცესში მასწავლებლის როლი არის ორგანიზებული მიზნობრივი გარემოს შექმნა, სადაც გამოწვევები დაკავშირებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიმართული იქნება სამიზნე ცნებების გააზრებაზე. კათედრა ამ ყველაფრის საფუძველზე ასაბუთებს, რომ სასწავლო პროცესი ხელს უწყობს აქტიურ სწავლასა და მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გაღვივებას. შესაბამისად,ინდიკატორი კრიტერიუმთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო კურიკულუმის ჩარჩოებში იკითხება, რომ მომდევნო სასწავლო წელს დაგეგმილი პროცესები ხელს შეუწყობს მოსწავლის წინარე ცოდნის გააქტიურებასა და ახალ ცოდნამდე მიყვანის პროცესს. კურიკულუმის ჩარჩოები აგებულია თემების გათვალისწინებით, რაც ნაცნობი კონტექსტია მოსწავლისთვის და დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, დამუშავებასა და გააზრებაში. კურიკულუმის ჩარჩოში ჩაშენებული დავალების პირობათა უმრავლესობა შემუშავების პროცესშია, მაგრამ წარმოდგენილ ნიმუშებში ჩანს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტი, მაგ, კომპლექსური დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. ინტერვიუს დროსაც მასწავლებლებმა არგუმენტურად დაადასტურეს რომ მომდევნო სასწავლო წელს პროცესი წარიმართება აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

კომპლექსური დავალებები მიანიშნებს, რომ სწავლის სწავლაზე კეთდება აქცენტი, რაც მოსწავლის მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას შეუწყობს ხელს. (იხ. კურიკულუმები, თანდართული კომპლექსური დავალებების სამუშაო ვერსიები).

თვითშეფასების კითხვარში სკოლა წერს: „სასწავლო პროცესში სწავლის სწავლას ხელს უწყობს მასწავლებლის შეფასება, მოსწავლეთა ურთიერთ შეფასება და თვითშეფასება. კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლეებს ვაფასებ სოლო ტაქსონომიაზე დაყრდნობიოთ, პოზიტიური უკუკავშირით. ძალიან მნიშვმელოვანი მოსწავლეთა ურთიერთშეფასება, ამით ისინი ერთმანეთს უმაღლებენ მოტივაციას და აქცენთს აკეთებენ ხარისხიან სწავლის სწავლაზე. ხშირად ვიყენებთ თვითშეფასებას, როგორც მასწავლებლები, ასევე მოსწავლეებიც. რომელიც გულისხმობს საკუთარი მუშაობის მონიტორინგს.” ინტერვიუდან დასტურდება, რომ ხშირად იყენებენ თვითშეფასებას, როგორც მასწავლებლები, ასევე მოსწავლეებიც. ასევე მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ურთიერთშეფასებაც, რითაც ისინი ერთმანეთს უმაღლებენ მოტივაციას და აქცენტს აკეთებენ ხარისხიან სწავლის სწავლაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლატარიული, პროცედურული და პირობისეული)

კათედრის მიერ შეთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები/პირობები მოითხოვს საგნობრივი საკითხის დამუშავებას, ცოდნის დადასტურებას, სწავლის სტრატეგიების ფლობას, გარკვეული პროცედურების შესრულებას, პრობლემის გადაჭრას და ცოდნის ცხოვრებისეულ კონტექსთან დაკავშირებით შემოქმედებითი პროდუქტის შექმნას. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა თავის თავში გულისხმობს ცოდნის სამივე კატეგორიაზე ორიენტირებულობას. ასევე, ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება მიმდინარე საკლასო თუ არაფორმალურ აქტივობებში, როგორ უნდა გამოიყენონ მიღებული ცოდნა შემდგომ ცხოვრებისეულ სიტუაციებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთაკავშირება

კათედრის ინტერვიუს დროს და კათედრის მიერ წარმოდგენი კურიკულუმის ჩარჩოში ასახული ინფორმაცია, განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულები, აღნიშნული კომპლექსური დავალებები ცხადყოფს, რომ ყურადღება მახვილდება მოსწავლის მიერ ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაზე. კურიკულუმები საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს. თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, რომელიც გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწორედ ის საკვანძო ასპექტებია, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას აძლევს მოსწა ვლეებს. ეს ფაქტორები გათვალისწინებულია საგნობრივი კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რადგან მითითებული

კომპლექსური დავალებების დანერგვა ვერ განხორციელდება ცოდნათა დაკავშირებისა და კონსტრუირების გარეშე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- მასწავლებლის მატერიალური პორტფოლიო
- კათედრის ანგარიშები
- გახორციელებულ პროექტები - „სპორტი და ჯანმრთელობა - გზა ჯანმრთელობისკენ“ და სხვა
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

სამიზნე ცნებები, სავალდებულო თემები, თემის მკვიდრი წარმოდგენები განსაზღვრავს იმ ცოდნას რომელსაც მოსწავლე უნდა დაეუფლოს დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა საგნის სწავლისას, ამ ცოდნისკენ სვლა კათედრაზე ხორციელდება შემდეგი მიდგომებით: კურკულუმში ყველაგან აქვთ წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, არ აქვთ ჩაშლილი ქვეცნებები, თუმცა გაიცა რეკომენდაცია ზოგიერთ კურიკულუმსი საკითხებისა და ქვესაკითხების გამოყოოფასთან დაკავშირებით. ასევე ინტერვიუს დროს დაზუსტდა, რომ პედაგოგებს აქვთ გააზრებული კავშირები სამიზნე ცნებებსა და თემებსა და მკვიდრ წარმოდგენებს შორის. ამ მხრივ კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოები საჭიროებს სრულყოფასა და დახვეწას, თუმცა, წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში სამიზნე ცნებები მუშავდება საგნობრივ საკითხებზე, კონკრეტულ თემაზე დაყრდნობით. შესაბამისად, უზრუნველყოფილია სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების გათავისება კომპლექსურებში. კურიკულუმის ჩარჩოები ეფუძნება საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პრივნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.**

კურიკულუმსა და კათედრის ანგარიშში წარმოდგენილი მრავაფეროვანი სასწავლო პროექტები და მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსები, აქტივობები, კათედრის ოქმებში აღწერილი ანგარიშით დასტურდება რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს (და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას"). კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების შესრულებას, რომელთა განხორციელებისას მოსწავლეს უწევს პასუხისმგებლობის აღება გარკვეულ საკითხებზე, დავალების მომზადებისას ურთიერთობა თანატოლებთან, მშობლებთან. დავალების წარდგენის შემდეგ მასწავლებლის მიერ დასმული კითხვების პასუხად მოსწავლე ფიქრობს საკუთარ ემოციებზე, ღირებულებებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე. კომპლექსური დავალებებზე მუშაობა მოსწავლეს შესაძლებლობას მისცემს ისაუბროს საკუთარ თავზე, საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები; დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა; სასწავლო პროცესის გარდა კათედრა/სკოლა ზრუნავს მოსწავლის სოციალურ-კულტურულ განვითარებაზე.შესაბამისად საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასების სიტემა ორიენტირებულის მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.**

სკოლას აქვს მზობა, რომ შეფასების სისტემა დაწყებით საფეხურზე ორიენტირებული იყოს ფაქტობრივ ცოდნაზეც და გაითვალისწინონ მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის აქტურალური ყველა გარემოება. წარმოდგენილმა შეფასების რუბრიკებმა, ასევე ინტერვიუმ აჩვენა, რომ შეფასების წარმოებისას მასწავლებლები ითვალისწინებენ შეფასების სტრატეგიებს: რომელ მიზანზეა ორიენტირებული შეფასება, რამდენად აძლევს სასწავლო პროცესში შესრულებული დავალებები მოსწავლეს ცოდნის/საკუთარი შესაძლებლობების წარმოჩენის საშუალებას და რამდენად შეუწყო ხელი კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესმა მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებას. კათედრამ წარმოადგინა ანალიზი თუ რამდენად მოახდინა მათმა საქმიანობამ ზეგავლენა მოსწავლის მიღწევებზე, დასტურდება ანგარიშით, კათედრის ოქმებით, შემაჯამებლი დავალებების ანალიზით. შეგვიძლია ვთქვათ, რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითერბის მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიეხდვით დაგეგმილია შეფასების მხრივ დოკუმენტაციის დახვეწა, ამჟამად სკოლას აქვს მზაობა დაწყებით საფეხურზე შეფასება იყოს ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო და ობიქტური. დიდწილად ეს მოახერხეს პედაგოგებმა,

ვინაიდან ინტერვიუს დროს ჩანდა, რომ პედაგოგებს აქვთ გააზრებული, რომ შეფასება სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და სერიოზულად უდგებიან მას. ამ დასკვნის საფუძველს გვაძლევს წარმოდგენილი სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის/ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტი, შეფასების რუბრიკები, კურიკულუმი, მომავალი დაგეგმილი სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, ასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასბეის ვერიფიკაციის მექანიზმი

რადგან ვერიფიკაცია რეალურად მოსწავლის მიღწევის ანალიზია, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ამ მექანიზმს სკოლა იყენებს. სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა შეფასება, შეფასების განხილვა და ანალიზი. მაგალითად, მათემატიკის კათედრის ანგარიშში, სლაიდი 20-21, სადაც კათედრის წევრებისს მიერ მოსწავლეთა შეფასებებია გაანალიზებული. მათემატიკური აპარატის გამოყენებით ე.წ. საერთო შემაჯამებელ ანგარიში, რაც სტატისტიკურად გვიჩვენებს რამდენად თანმიმდევრულია მოსწავლეთა შეფასება, მათი სწავლის დინამიკა. მათ კარგად ესმით, რომ ეს ანალიზი სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია და ილუსტრაცია იმისა, თუ რამდენად ასრულებს შეფასების სისტემა მოსწავლის მხარდაჭერის ფუნქციას, რამდენად წარმოადგენს ის სწვლა-სწვალების პროცესის საყრდენს. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს, მომავალი სასწავლო წლისათვის ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლის თვითშეფასების ანგარიშში წერია, რომ სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, ასევე ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ხუთი წლის განმავლობაში ინახება მოსწავლეთა პირადი საქმეები, სადაც კლასის დამრიგებლებს შეაქვს მოსწავლეთა შეფასებები. პირადი საქმის შენახვაზე პასუხისმგებლობა ეკისრება საქმეთა მმართველს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი 1-6 კლასის კურიკულუმები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- ვერიფიკაციის მექანიზმი.
- პედაგოგთა უკუკავშირის ფორმები
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

2.2.3 სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას.

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო

სკოლის მიერ წარმოდგენილია სხვა და სხვა დოკუმენტები რომლებშიც გაცხადებულია სკოლის მისია და ღირებულებები, რაც პირდაპირ მიუთითებს სკოლის არჩევანზე, იყოს მოსწავლის მხარდამჭერი და მიიღოს ყველა ის სიახლე, რომელიც ეხმარება სკოლას გახდეს წარმატებული და აღზარდოს წარმატებული ადამიანები. ასევე, მოცემულია სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, რომელიც ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ეს ყველაფერი იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მოსწავლის მხარდამჭერი გარემო.

მასწავლებელთან ინტერვიუდან გამომდინარე სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის მხარდამჭერ და მიმღებლობის გარემოს სხვადასხვა ტიპის აქტივობებით და ღონისძიებებით, მათ შორის არაფორმალური განათლების ფორმების გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სკოლის თვითშეფასების ფორმაში ასახულია სასწავლო პროცესის წარმართვის ისეთი მექანიზმები, როგორიცაა მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო და უსაფრთხო გარემო, სკოლა ამისთვის იყენებს მართვის ეფექტიან სტრატეგიებს, კერძოდ, მშობელთან კომუნიკაციას, პრობლემებთან ჩაღრმავება/იდენტიფიცირებისა და მოგვარების თვალსაზრისით. მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში, ხშირ შემთხვევაში, ითვალისწინებენ მოსწავლეთა არჩევანსაც - თუ სად, როდის და როგორ უნდა სწავლა. წარმოდგენილი კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფენ მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს, სადაც წამყვანია მოსწავლის ავტონომიურობა, არჩევანი, წინარე გამოცდილება და თვითრეგულაცია. სკოლაში სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეთა გამოკითხვით, მათი ინტერესის სფეროების დადგენით, შესაძლებლობების გარკვევით.

სასწავლო პროცესი მიმდინარეობს წინასწარ გაწერილი სასკოლო გეგმითა და კურიკულუმებით, რომელიც აგებულია მოსწავლის განვითარებაზე, ჩაშენებული მრავალფეროვანი აქტივობებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას და კომუნიკაციას. სკოლა უზრუნველყოფს დაგეგმოს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). სკოლის სასწავლო პროცესის აღწერაში ჩანს სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მეგობრული გარემო, მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით, ხშირად ხდება მათი პოზიციის გათვალისწინება. კათედრის წევრები ხშირად, ერთობლივად გეგმავგენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

კათედრასთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ შექმნილია სკოლაში პოზიტიური გარემო სკოლისა და კლასის დონეზე, შესაბამისად სასკოლო საზოგადოების წევრები ინტენსიურად არიან ჩართული სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში, გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებსა და არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს, რომელიც ასახული და გაწერილი აქვთ გეგმაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- სკოლის სამეურვეო საბჭო სხდომის ოქმი ·
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების და შეფასების ფორმა
- კათედრის ანგარიშები
- სასკოლო კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგია;

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული აქვთ, რომ კურიკულუმის მონიტორინგის და შეფასების ფარგლებში სკოლა გეგმავს შევადგინოს კითხვარები მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომელზეც დაყრდნობითაც გააკეთებენ SWOT-ანალიზს. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. სადაც ასახულია როგორ ხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება.თუმცა აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს დროს სკოლამ გამოთქვა მზაობა დახვეწოს მონიტორიგისა და შეფასების მექანიზმი. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლის მიერ შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. ასევე იგეგმება კათედრებზე, მათ შორის საბუნებისმეტყველო კათედრაზეც, მონიტორნიგის სისტემის გაწერა, მოხდება დიაგნოსტიკური შეფასებები, მათ ანალიზსა და შემაჯამებლის ანალიზზე დაკვირვებით მოხდება მოსწავლეთა შედეგების რეფლექსია. აღნიშნული შედეგების საფუძველზე გაიცემა რჩევები და გაზიარებული იქნება ერთი კათედრიდან სხვა კათედრებისთვის, შემდეგ- სკოლის დონეზე, საჭიროებიდან გამომდინარე- მშობლისა და მოსწავლის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგი და შეფასება ემხასურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება უნდა განხორციელდეს სასკოლო საზოგადოების ყველა მხარის ფართო ჩართულობით. სკოლას გააზრებული

აქვს, რომ მონიტორინგი და შეფასება საუკეთესო საშუალებაა პრობლემის იდეტიფიცირების, წარმატების გაზომვის და შეცდომებზე დაფუძნებული სწავლისთვის. პედაგოგებთან ინტერვიუს შემდეგ შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია ერთ - ერთ საჭიროებად. მნიშვნელოვანია, სკოლაში შემუშავებულმა მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ სკოლის მენეჯმენტის გუნდს მისცეს საშუალება, ისწავლოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. მონიტორინგისა და შეფასების სისტემამ უნდა შექმნას წინაპირობა მოსწავლეების და მასწავლებლების მუშაობის გაუმჯობესებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია პრინციპები, რომლებსაც ეფუძნება კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზია. კურიკულუმის შემუშავების პროცესი ციკლურია და ამაში მოიაზრება მონიტორინგი და შეფასება, როგორც პრობლემის გადაჭრის გზა/საშუალება. სკოლას აქვს მზაობა მომავალ სასწავლო წელს სკოლაში მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენოს პრობლემების იდენტიფიცირებისა და გადაჭრისთვის. ამ ეტაპზე პედაგოგებს აქვთ ურთიერთდასწრების და განმავითარებელი შეფასების გამოცდილება, დასტურდება მათ მიერ წარმოდგენილი ურთიერთდასწრების ფორმებით. ეს ფორმები ნაწილობრივ პასუხს სცემს შეკითხვებზე სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად მიმდინარეობს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12
- სამუშაო ჯგუფის ანგარიში.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები

2.3.2 სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლაში სასწავლო პროცესის შეფასება იგეგმება მრავალფეროვან წყაროებზე დაყრდნობით; სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩანს, რომ სკოლა გეგმავს ინფორმაციის მოპოვებას სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით (კათედრები, დირექცია, მოსწავლეთა შედეგები, მშობლები, თანატოლები).კათედრამ წარმოადგინა ცალკეული ინსტრუმენტი და პრაქტიკა, (მაგ: კათედრის შეხვედრის ოქმი, ურთიერთდასწრების ფორმები) რომელიც წარმოაჩენს წყაროებსა, მასალებს და ამ მასალების საფუძველზე გამოკვეთილ დასკვნებს, რომლების საფუძველზეც სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი მიმდინარეობს. სკოლას აქვს მზაობა მომავალი სასწავლო წლიდან კიდევ უფრო მარავფეროვანი გახადოს შეფასების კომპონენტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვლისწინებით

კათედრასთან გასაუბრების და დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოვლინდა რომ სკოლას გამოცდილებაში აქვს მონიტორინგის და შეფასების განხორციელების გზები, შეფასებისთვის სკოლა იყენებს მრავალფეროვან მეთოდებს, როგორებიცაა დაკვირვება, კითხვარები, მონაცემთა ანალიზი (შემაჯამებელი დავალების ანალიზი,ფინალური გამოცდების შედეგების ანალიზი), ინტერვიურება და ა.შ. პედაგოგები ცდილობენ შეისწავლონ რამდენად ეფექტურია მათ მიერ შემუშავებული ინტერვენცია სწვალის შედეგების თვალსაზრისით, როგორც ჩანს ისინი ცდილობენ შეფასებისას გაითვალისწინონ კლასის კლიმატი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, თემა, საკითხი, მოსწავლეთა ინტერესები და ა.შ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

სკოლის მიერ წარდგენილ კურიკულუმის დანერგვის მეთოდოლოგიაში სკოლას ნათლად აქვს წარმოდგენილი, თუ როგორ და რა მონაცემების მოგროვება სურს სასკოლო საზოგადოებიდან თუ სკოლის სტრუქტურული ერთეულებიდან კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის ერთიანი სურათის დასანახად.

ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის ადმინისტრაციას და კათედრას დაგეგმილი აქვთ ინფორმაციის მოპოვება შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტის გამოყენების გზით.თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნული აქვთ, რომ სკოლაში მუდმივად მიმდინარეობს მოსწავლეთა დაკვირვება მათი საჭიროებების დადგენის მიზნით, ამის შემდეგ ხდება ინტერვეციების შემუშავება და მათი განხორციელება.

მომავალ საწავლო წელს ინფორმაციას მიიღებენ საკითხისადმი მრავალმხრივი მიდგომით, რომლისთვისაც მონაცემთა შეგროვების უფრო მრავალფეროვან მეთოდებს გამოიყენებენ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით

მასწავლებლებს აქვთ გააზრებული, რომ მოსწვალეზე, მის სასწავლო სიტუაციაზე, გარემოებაზე გავლენას ახდენს, არა მხოლოდ უშუალო გარემომცველი მიკროსისტემა, არამედ ფაქტორთა მთელი რიგი სხვადასხვა სისტემებიდან: ოჯახი, ჯანდაცვა, ფასეულობები, ტრადიციები და ა. შ. თვითშეფასების ანგარიშშიც აღნიშნავენ, რომ ყველა ზემოთ აღნიშნული გათვალისწინებული იქნება მომდევნო სასწავლო წელს.სკოლა გამოცდილებიდან გამომდინარე აცხადებს, რომ მომავალშიც შეფასება მოხდება მულტიფაქტორული მიდგომის გათვალისწინებით: გარემო, დროის მენეჯმენტი, რესურსების უქონლობა, ფსიქო-ემოციური ფონი, კლასის პროფილის შექმნა, მოახდენენ მოსწავლეთა უნარების და ინტერესების დიფერენცირებას. ყოველივე ეს გათვალისწინებული იქნება მომავალი კურიკულუმის შემუშავების დროს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12
- მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა და სხვა დანარჩენი შეფასების რუბრიკები დაწყებით საფეხურზე.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- სადამრიგრბლო პროგრამები;
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმს გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება ხდება წლის განმავლობაში შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს. კურიკულუმის რევიზიისას გათვალისწინებული იქნება წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის ანალიზი. ანალიზის საფუძველზე სკოლამ შექმნის რეკომენდაციებს მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად. მასწავლებლებს ესმით რომ არა სპონტანურად, არამედ თანმიმდევრულად უნდა წარიმართოს მიმდინარე წელიწადს კურიკულუმის დანერგვის შესახებ მონაცემების შეგროვება და დამუშავება. რეფლექსიით და საჭიროებების კვლევით ისინი შეძლებენ წლის ბოლოს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმის გადამუშავების ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებასა და ითვალისწინებს მონტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრები გეგმავენ ყოველწლირად განიხილონ სასკოლო კურიკულუმი და შეიმუშავონ სასკოლო კურიკულუმის გაუმჯობესებული ვერსია.მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასკოლო კურიკულუმი მომავალ წელს თუფრო გამართულ დოკუმენტად აქციონ, მისი დახვეწა-განვითარება მოხდება წინა წლის გამოცდილების გათვალისწინებით. ახალი კურიკულუმის საბოლოო გაწერისას გაითვალისწინებენ ყველა იმ პრობლემას რომელიც განვლილ სასწავლო წელს მისი დანერგვის პროცესში წარმოიქმნა და ასახონ იმუშავებენ პრობლემის დაძლევის გზებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები

- ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12
- მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა და სხვა დანარჩენი შეფასების რუბრიკები დაწყებით საფეხურზე.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- სადამრიგრბლო პროგრამები;
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;

შეფასება: ο *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* ο *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

2.1 კურიკულუმის შემუშავება

2.1.1 კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოებს ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობებს

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის შემუშავება მოიაზრება სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესად, რომელშიც მონაწილეობს სასკოლო თემის (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, სკოლის

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი **საბაზო საფეხური**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ადმინისტრაცია, დირექცია) წარმომადგენელები, რაც საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას თითოეულის ინტერესი, შესაძლებლობა, პრიორიტეტები. სასკოლო კურიკულუმში ცვლილებების ასახვა ხდება მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების დამუშავების საფუძველზე, კერძოდ, კათედრაზე გაანალიზებული იქნა მასწავლებელების მიერ პრაქტიკული საქმიანობა, არსებული გამოწვევები, ასევე გათვალისწინებული იქნა მშობლების , მოსწავლეების მოსაზრებები, უკუკავშირი. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში

გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ სამომამვლოდ გეგმავენ, მეტად ჩართონ სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შემუშავების პროცესში, ასევე იგეგმება მშობელთა ჩართულობის გაძლიერება, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გაითვალისწინონ კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.1.1.2 კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადეობის ინტერესები

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა ადგილობრივი საჭიროებები და შესაძლებლობები, გაკვეთილების, პროექტების და კლასგარეშე ღონისძიებების კომპონენტების გამოყენებით დაიგეგმა მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი აქტივობები ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდება და შეავსებს მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებას. სკოლის ადმინისტრაცია მხადამჭერია სასკოლო საზოგადოების წევრების ინიციატივებისა, რასაც ადასტურებს კიდეც განხორციელებული პროექტები და ღონისძიებები. სკოლაში შექმნილია კლუბები : ეკო-კლუბი, მეწარმეობის კლუბი, ,,ქიმიკოსთა სამეფო კლუბი", მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ შექმნილი ჭადრაკის წრე და ჟურნალისტიკის წრე, აქტიურად ტარდება კლასის საათი სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით. **ინდიკატორი კრიტერიუმთან შესაბამისობაშია**

2.1.1.3 კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადეობის მიერ

კურიკულუმის შექმნისას კათედრაზე აქტიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები, სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია რომ, ისინი წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, წარმოადგენენ ანგარიშებს, სამომავლოდ კი იგეგემება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული სასწვალო პროცესი. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული აქტივობები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი პროექტები ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდზე და კლასის სასაუბრო ჩატში იგზავნება. ასევე განიხილავენ მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრებზე და კათედრაზე, სადაც იგეგმება პრობლემის გადაჭრის გზები. შექმნილი კურიკულუმები ხელმისაწვდომია საჯარო სკოლის საზოგადოებისთვის. სამომავლოდ იგეგმება მშობელთა ჩართულობის გაძლიერება, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით კლუბებისა და წრეების შექმნა, აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკის განვითარებისა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.1.1.4კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად სასკოლო კურიკულუმი შექმნილია სასკოლო საზოგადოების წევრების ძირითადად დირექციისა და მასწავლებლების მონაწილეობით, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: მშობელთა კრებები, Teams-ის პლატფორმა, სოციალური ქსელები, იგეგმება სკოლის ვებგვერდის შექმნა. ასევე შემაჯამებელ აქტივობებს წარადენენ სასკოლო საზოგადოების წინაშე, თუმცა გეგმავენ მეტად წაახალისონ საბაზო საფეხურზე მშობლებისა და მოსწვალეების ინიციატივები. მომავალში იგეგმება სკოლამ შეიმუშავოს უკუკავშირის მიღების მექანიზმი: კითხვარის ფორმით, რომელიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი მატერიალური ან ელექტრონული ფორმით. კურიკულუმების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა), საბოლოო ვერსიის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს სკოლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №15
- საგნობრივი კათედრის ოქმები
- კათედრის ანგარიშები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ოქმი;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს.

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნები სამიზნე ცნებების სახით. მუსიკისა და ხელოვნების საბაზო საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმში წარმოდგენილია სამიზნე ცნებები/ქვეცნებები, საკითხები, რესურსები და უკვე შერჩეული ერთი ან ორი კომპლექსური დავალება. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან

ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში აპირებენ ჩადონ ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც გამოიწვევს ცნობისმოყვარეობას, განავითარებს მოსწავლის შემოქმედებით უნარებს და ფანტაზიას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს(გლობალურ-ფუნქციური უნარები) მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები.

საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში ძირითადად ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები/კლასტერები, სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება, განსაზღვრულია კონტექსტ მაგალითებიც და კომპლექსური დავალების იდეები, რაც ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას.

კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საფუძველს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურებისა, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს.

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირებას. (მაგ: პროექტი, სხვადასხვა აქტივობები, კლუბები) . ამ მიმართულებით სკოლას აქვს კიდეც გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ განხორცილებული არაფორმალური აქტივობები.

კურიკულუმის ჩარჩოები შექმნილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას. მაგალითად: საგანში გეოგრაფია - საბაზო საფეხურზე არცერთ სავალდებულო თემაში არ არის განსაზღვრული კომპლექსური დავალების კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის.

საგანში ისტორია მე-7 კლასის მე-3 სავალდებულო თემაში არ ჩანს სამიზნე ცნებები: წყარო, დრო, ისტორიული მოვლენა პროცესი; კომპლექსური დავალების (მმართველობის ფორმები) იდეაში მითითებულია „ორი სტატიის შექმნა/არგუმენტირებული ესე ძველი საბერძნეთის მმართველობის ფორმებზე“ - დასაკონკრეტებელია ერთდროულად 2 პროდუქტი ევალება მოსწავლეს თუ არჩევანის საშუალება აქვს ორს შორის. მე-9 კლასში გამორჩენილია სავალდებულო თემა - საქართველო და თანამედროვე მსოფლიო. საფეხურის სამივე კლასის კურიკულუმებში ქვეცნებების სიუხვეა.

საგანში მოქალაქეობა - მე-7 კლასში პირველ თემაში არ ჩანს სამიზნე ცნებები: საზოგადოება, დემოკრატია, მდგრადი განვითარება, მე-2 სავალდებულო თემაში არ ჩანს სამიზნე ცნებები: საზოგადოება, მდგრადი განვითარება, სამოქალაქო მონაწილეობა; მე-3 სავალდებულო თემაში არ ჩანს სამიზნე ცნებები: საზოგადოება, დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა; მე-IV თემაში არ ჩანს სამიზნე ცნებები: დემოკრატია, მდგრადი განვითარება, სამოქალაქო მონაწილეობა; მე-V თემაში არ ჩანს სამიზნე ცნებები: დემოკრატია, საზოგადოება, სამოქალაქო მონაწილეობა; მე-8 კლასში პირველ თემაში არ ჩანს სამიზნე ცნებები: საზოგადოება, დემოკრატია, მდგრადი განვითარება; მეორე თემაში არ ჩანს სამიზნე ცნებები: საზოგადოება, დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა; მე-9 კლასში პირველ და მეორე თემებში არ ჩანს სამიზნე ცნებები: საზოგადოება, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება, მესამე თემაში არ ჩანს სამიზნე ცნებები: საზოგადოება, სამოქალაქო მონაწილეობა, დემოკრატია, მეოთხე თემაში არ ჩანს სამიზნე ცნებები: სამოქალაქო მონაწილეობა, დემოკრატია. ტიპიური ხარვეზები საგანში: გამორჩენილია კონტექსტ-მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის, ლინკები არასწორად არის მითითებული აღნიშნულ სვეტში.

რჩევა: მნიშვნელოვანია კურიკულუმის ჩარჩოებში თითოეულ თემაში ჩანდეს ყველა სამიზნე ცნება; მოსწავლემ აუცილებლად 1 საბოლოო პროდუქტი უნდა წარმოადგინოს, არჩევანის საშუალება კი შესაძლებელია მიეცეს მაგ: სტატიასა და არგუმენტირებულ ესეს შორის - შესაბამისად დაკონკრეტდეს მითითებულ კომპლექსურ დავალების იდეაში მოცემულობა, ქვეცნებების რაოდენობა განისაზღვროს გონივრულად და დარჩეს იმდენი რამდენიც რეალურად დამუშავდება, ჰიპერლინკები შეგიძლიათ ბოლო სვეტში მიუთითოთ, რაც შეეხება კონტექსტ მაგალითს, ანდაც კომპლექსური დავალების იდეას - სათაურიც საკმარისი იქნება. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში უნდა შეივსოს კურიკულუმის ყველა სვეტი სრულად კომპლექსურებთან მიმართებით. მასწავლებლებს პირველივე ვიზიტზე მიეცათ უკუკავშირი ხარვეზებისა და მისი გამოსწორების შესახებ, მათ აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე განაახლონ კურიკულუმების ჩარჩოები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა (სკოლის თვითშეფასების განაცხადი, საგნობრივი კურიკულუმები) და მასწავლებლებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. დიფერენცირებას ახდენენ მზაობის, ინტელექტის, დასწავლის ტიპის მიხედვით, და იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ისგ ჯგუფები, რომელიც იკრიბება მინიმუმ 2-ჯერ, სემესტრის დასაწყისსა და ბოლოს. მტკიცდება ინდივიდუალური გეგმები და ხდება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი. სპეცმასწავლებელი მასწავლებლებთან ერთად სასწავლო პროცესში აკვირდება მოსწავლის განვითარებას, რომლის საფუძველზეც მუშავდება და მტკიცდება მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური გეგმა. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა

განვითარების გზებს ერთობლივად ახორციელებენ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, მშობელი, მასწავლებლები. სკოლას მშობლებთან თანამშრომლობით შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტ მაგალითები, მათზე დაფუძნებული კომპლექსური დავალების იდეები, მრავალფეროვანი შემოქმედებით პროდუქტები საშუალებას იძლევა მოხდეს შესაბამისი დიფერენცირება. სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეებისათვის, ფუქციონირებს ლიფტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

შესწავლილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ საბაზო საფეხურზე იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლის შემუშავებაც ხშირად მათი ჩართულობით ხდება. საგნობრივ კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების სქემები, მაგალითად: დისკუსიის, ინფორმაციის მოძიების, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის, პროექტის, სხვადასხვა წერითი სამუშაოს და სხვ. განმავითარებელი შეფასებისთვის გამოყენებულია კომენტარი/უკუკავშირის ზეპირი და წერილობითი ფორმა, დაკვირვება, მოსწავლეთა ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, შეფასების კომპონენტებად მოიაზრება კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებიც. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლების მხრიდან განიხილება სასწავლო პროცესის ნაწილად , შედეგების გაუმჯობესების გზად. იგეგემება, მომავლი სასწავლო წლისათვის შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საფეხურეობრივ შედეგებთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულის წინარე გამოცდილების ანალიზი

შესწავლილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი. კერძოდ, კათედრებზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის, მასწავლებლების თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასების საფუძველზე ხდება ხარვეზების გამოვლენა, გადაჭრის გზების დასახვა, გამოცდილების გაზიარება. არსებული გამოცდილების გათვალისწინებით იქმნება საგნობრივი კურიკულუმები. (მაგალითად: სასკოლო კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგიის თანახმად მასწავებლები ეტაპობრივად ჩაინიშნავენ აქტივობებსა და რესურსებს, რომლებიც წარმატებით გამოიყენეს პრაქტიკაში და მუშაობის პროცესში შეავსებენ თემატურ მატრიცას, რომელშაიც აისახება წარმატებული პრქატიკა, რაც მომავალი სასწავლო წლისათვის იქნება წინარე გამოცდილება). მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავლშიც

მოსწავლეთა შედეგების ანალიზისა და მასწავლებელების თვითრეფლექსიის (მაგ: თემატური მატრიცის ანალიზი, კვლევა და სხვა), საფუძველზე მოხდება კურიკულუმების გადამუშავება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსურიო დავალებები
- კათედრის ანგარიშები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- კომპლექსურ დავალებაში გამოყენებული შესაბამისი რესურსები.
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძლება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

სკოლის თვითშეფასების განაცხადის მიხედვით გასულ სასწავლო წელს საბაზო საფეხურზე დაინერგა კომპლექსური დავალებები, კლუბების მიერ აქტიურად ტარდებოდა სხვადასხვა აქტივობები, განხორციელდა პროექტები, მაგ. პროექტი - „დედამიწა- ცოცხალი

პლანეტა“, „დავიცვათ ერთმანეთის უფლებები“, „ეკოსკოლები“, „ჩვენც დავბერდებით“, „საქართველო და ევროპული ღირებულებები“ „ახალი წელი“ და სხვა.

წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან საკითხებს, კომპლექსური ბუნების დავალებები ნაცნობ კონტექტსებზე დაყრდნობით მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავი წარმოიდგინოს სხვადასხვა რეალურ გარემოში, განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი პროდუქტები (საგაზეთო სტატია, არგუმენტირებული ესე, მოგზაურის პორტფოლიო, სასამართლო პროცესის ინსცენირება, ისტორიული წყარო, კოგნიტური ცხრილი, კომიქსი, მოხსენება, მაკეტი, და სხვა). არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას და ხელს უწყობს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. სკოლის თვითშეფასების ფორმაში მოცემული აღწერილობის თანახმად, გარდა კომპლექსური დავალებებისა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს საკლასო თუ სასკოლო პროექტები. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ გეგმავენ ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირების გაძლიერებასა და კლუბური და პროექტული საქმიანობის გაგრძელებას. . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ახალ მასალაზე მუშაობისას სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების თანახმად, ცოდნის კონსტრუირებას გეგმავენ მოსწავლეების წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეები ნაცნობ კონტექსტებზე დაფუძნებული დავალებებით, მასწავლებლების ფასილიტაციითა და უკუკავშირით აგებენ ახალ ცოდნას, აკეთებენ დასკვნებს, ქმნიან საინტერესო პროდუქტს და პრეზენტაციაზე ხსნიან თავიანთ ნამუშევრებს. მომავალშიც იგეგმება მოსწავლის საჭიროებებზე ყურადღების გამახვილება და მათი მზაობის, ინტერესების გათვალისწინება, რაც დაეხმარება მასწავლებლებს უკეთ მოარგონ თითოეულ მოსწავლეს კომპლექსური დავალება, ახალი ცოდნის აგება მოსწავლემ მოახდინოს თავის წინარე ცონდა/გამოცდილებაზე დაფუძნებით. წარმოდგენილ კურიკულუმებში სავალდებულო თემების ფარგლებში შესასწავლი საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ ითვალისწინებს წინარე ცოდნას და მასზე ახალი ცოდნის დაშენებას. კომპლექსური დავალების კონტექსტები იმგვარადაა შერჩეული, რომ ახლოს დგას მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მას უხდება პრობლემის გადაჭრა, ანალოგიების გაკეთება (დაუკავშიროს საკუთარ გარემოს) ნასწავლის შემოქმედებით პროდუქტში გამთლიანება. მასწავლებელბმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ფორმალურ და არაფორმალური განათლებას გეგმავენ იმგვარად, რომ საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნა და გამოცდილება წარმოადგენს წინარე ცოდნას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას და პირიქით. კათედრა სამომავლოდ გეგმავს არსებული პრაქტიკის გაძლიერებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

კურიკულუმით დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების განხორციელება მოიაზრებს სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებას. დავალებების საკვანძო შეკითხვებზე მუშაობა სწორედ მეტაკოგნიციას გულისხმობს. მოსწავლეს უხდება საკუთარი სასწავლო პროცესის ანალიზი, დაგეგმვა, მისთვის მოსახერხებელი სწავლის სტრატეგიების შერჩევა/შეფასება. სკოლის თვიშეფასების განაცხადშიც აღნიშნულია და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგადაც დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა შესასწავლი საკითხების ათვისებისას, იყენებენ სტრადეგიებს, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ცოდნის ორგანიზებაში და დამოუკიდებლად დასკვნების გამოტანაში, დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე თვითშეფასების, ურთიერთშეფასების და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლატარიული, პროცედურული და პირობისეული)

ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ კურიკულუმებში, წარმოდგენილი საკითხების შესწავლაზე მუშაობა და კომპლექსური დავალების იდეების განხორციელება მოიაზრებს ცოდნის სამივე კატეგორიას. მაგალითად, მე-9 კლასში ისტორიის საგანში დაგეგმილი კომპლექსური დავალების იდეა გულისხმობს პოსტერის შექმნას სახელმწიფოს ტოტალურ რეჟიმად გარდაქმნის პროცესთან დაკავშირებით, ამისათვის მან უნდა გაიაზროს, რა არის პოსტერი, დაფიქრდეს, რისთვის ქმნის მას და შექმნას შესაბამისად. (ცოდნის სამი კატეგორია). ასევე არაფორმალური აქტივობები მოიაზრებს მოსწავლის მიერ პრობლემის ანალიზს, საჭირო რესურსების მოძიებას და კონკრეტული პრობლემის მიხედვით დამუშავებას. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად და მასწავლებელებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა კვლავაც გეგმავს პროექტული, პრობლემაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთაკავშირება

საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგავრად, რომ მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირების პროცესში უხდება წინა მასალის ან სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირში გააზრება. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს ასევე ინტეგრირებული გაკვეთილები, განხორციელებული ერთობლივი პროექტები და არაფომალური აქტივობები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ არსებული პრაქტიკა კვლავაც გაგრძელდება და გამოყენებულ იქნება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- მასწავლებლის მატერიალური პორტფოლიო
- კათედრის ანგარიშები
- გახორციელებულ პროექტები - „სპორტი და ჯანმრთელობა - გზა ჯანმრთელობისკენ“„დედამიწა- ცოცხალი პლანეტა“, „დავიცვათ ერთმანეთის უფლებები“, „ეკოსკოლები“, და სხვა
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშლილია შესასწავლი თემები საგნების მიხედვით, კომპლექსური დავალებები, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენებისკენ. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მნიშვნელოვანია ასევე ქვეცნებების განსაზღვრა, რომელთაც უკავშირდება საკითხები და ქვესაკითხები. მასწავლებლებმა (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამომავლოდ პროცესის გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე) ორიენტირებაში ისინი აქტიურად გამოიყენებენ შუალედურ სასწავლო მიზნებს (კომპლექსურ დავალებებს). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პრივნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ: საგნობრივ

კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და მოსწავლეს პოზიტიური დამოკიდებულება უყალიბდება სწავლის მიმართ. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები ერთგვარ დამხმარე რგოლს ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების უნარს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, იგივე მიზანს ემსახურება სასკოლო აქტივობები, რაც დასტურდება წარმოდეგნილი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასების სიტემა ორიენტირებულის მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

სკოლის თვითშეფასების განაცხადისა და სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ცხადია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. შეფასების პროცესში, ითვალისწინებენ მოსწავლის შესაძლებლობებს არა მხოლოდ ერთი კონკრეტულ კომპეტენციის ფარგლებში, არამედ ზოგადად მის ძლიერ მხარეებს, ინტეგრირებულ ცოდნას, სირთულეებისთვის თავის გართმევას უნარს, შემოქმედებით უნარებს თუ ისტ-ის კომპეტენციებს. სასკოლო კურიკულუმებს თან ერთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუში სახვადასხვა საგანში მასწავლებლემბა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ იყენებენ სხვადასხვა შეფასების რუბრიკებს: პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატის და სხვა შეფასების რუბრიკებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროცესში ჩართულობას და ეხმარება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა. მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწაველეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი˜

სკოლის თვითშეფასების განაცხადის მიხედვით შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკები ეფუძვნება ეროვნულ სასწავლ გეგმას, განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ, შეფასების რუბრიკების (დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატის, სხვადასხვა წერითი სამუშაოების რუბრიკის შექმნის პროცესში.) შექმნაში მონაწილეობენ მოსწავლეებიც, რათა მათთვის ცხადი იყოს შეფასების სისტემა. შეფასება არის ვალიდური, ფასდება ის , რისი შეფასებაცაა განსაზღვრული. მოსწავლეებმა იციან, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა მკაფიოა, რაც განაპირობებს მის თანაბარ სამართლაინობას მოსწავლეების მიმართ. სკოლა

თვითშეფასების განაცხადში აღნიშნავს, რომ შეფასების ინსტრუმენტები ირჩევა მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასბეის ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის თვითშეფასების განაცხადის და ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტის მიხედვით უკვე მოხერხდა სკოლის დონეზე ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვა, რაც ემსახურება ობიექტურობას, სანდოობას, გამჭირვალობას, ვალიდურობის პრინციპების დაცვას შეფასების პროცესში. მექანიზმში გაწერილი აქვთ ყველა განმახორციელებელი რგოლის ვალდებულება, განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ვერიფიკაციის მექანიზმის პროცედურების სრულყოფილად შესრულებას. სკოლას აქვს ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილება, ხდება შეფასების მოსწავლეების მიღწევების ანალიზი, იგეგემება მომავალ წელს სადიაგნოსტიკო შეფასება. აქვთ მზაობა კიდევ მეტად დახვეწონ არსებული შეფასების სისტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას, სკოლაში დაცულია ჟურნალები, ელექტრონული ჟურნალის მონაცემები, მოსწავლის პირადი საქმეები, სადამრიგებლო პროგრამები, დოკუმენტების შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში და უზრუნველყოფილია მისი ხელმისაწვდომობა კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები.
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- ვერიფიკაციის მექანიზმი.
- პედაგოგთა უკუკავშირის ფორმები
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

2.2.3 სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას.

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭრი და მიმღბლობითი გარემო

სკოლაში შექმნილია მიმღებლობითი გარემო. კერძოდ, სასწავლო პროცესში მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების დანერგვით, პროექტების, საკლუბო თუ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით. მიღებულია თითოეულის მოსაზრება, წახალისებულია მათი ინიციატივები. სკოლაში ბრძანებით შექმნილია მასწავლებელთა განვითარებისა (ხარისხის მართვის) და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა განვითარებაზე სწორი უკუკავშირებითა და რეფლექსიით. ასევე დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ ახალი მოსწავლის მიღების ადაპტაციის მექანიზმს. მოსწავლეთათვის გაცემული უკუკავშირის მიზანია პროგრესის ხელშეწყობა. სკოლა უზრუნველყოფილია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიით, მოსწავლეთა ასაკობრივი დონეების შესაბამისი საკლასო ავეჯით, ბიბლიოთეკით, ადაპტირებული სველი წერტილებით, სკოლას აქვს პანდუსი, რესურს ოთახი, ლიფტი, ბუფეტი, ბუნებრივი და ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები, სპორტული დარბაზი. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ ყოველივე ეს უზრუნველყოფს პოზიტიურ სასწავლო გარემოს შექმნას და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. არსებული მიდგომები განვითარებას ჰპოვებს მომავალშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სასწავლო პროცესის მოსწვალეზე ორიენტირებულად წარმართვის ხელშემწყობად მოიაზრება არსებული საგნობრივი კურიკულუმები რომლის შემუშავება და სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობა წლის დასაწყისში ხდება, სამოქმედო გეგმები ორიენტირებულია მოსწავლის საგაკვეთილო პროცესსა და კლასგარეშე აქტივობებში აქტიურ ჩრთულობაზე. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ გათვალისწინებული იყოს გასული წლის რეფლექსიის, ანალიზის, დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ. სამოქმედო გეგმაში გაწერილი კომპლექსური დავალებები, საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსური ბუნების დავალებებს, სადაც მოსწავლე თავად არის სასწავლო პროცესის დამგემავი, რაც ზრდის ავტონომიურობის განცდას. არაფორმალური აქტივობები ასევე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ხელს უწყობს თანამშრომლობითი, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას. შეფასება ემსახურება მოსწავლეთა პროგრესის ხელშეწყობას. სასწავლო პროცესში მოსწავლე მასწავლებლის ფასილიტაციით თავად აგებს ახალ ცოდნას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები დიფერენცირებული დავალებებით, მოსწავლეებს ეძლევათ კონსტრუქციული უკუკავშირები, გამოყენებულია განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, როგორიცაა: შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, „ვიცი, გავიგე, მინდა ვიცოდე“, გრაფიკული მაორგანიზებლები, თვითშეფასების ბარათი. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა საჭიროებებს სწავლობენ როგორც საგაკვეთილო ისე არასაგაკვეთილო პროცესში, რაც ეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებულად სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლას სათანადო დონეზე აქვს განვითარებული თანამშრომლობითი კულტურა. კერძოდ, მასწავლებლები თამანშრომლობენ კურიკულუმების შედგენისა და განხორციელების პროცესში (გამოცდილების გაზიარება, შედეგების რეფლექსია, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, გეგმავენ პრობლემების მოგვარების გზებს), სკოლა ურთიერთნამშრომლობის კულტურის გაძლერების მიზნით გეგმავს უფრო მეტი ინტეგრირებული გაკვეთილების, ერთობლივი პროექტების, გასვლითი ღონისძიებების ჩატარებას. გასვლით ღონისძიებებში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობით ურთიერთთანამშრომლობის კულტურის ამაღლებას, კათედრების ხელმძღვანელები 2023-24 სასწავლო წლისთვის გეგმავენ „კათედრების სათათბირო“-ს რომელიც მოიაზრებს კათედრების მუშაობის სისტემის გაძლიერებას. (მაგ. კათედრებზე განსახილველი დოკუმენტაციის შემუშავება, ერთობლივი ღონისძიებების, პროექტების, კვირეულების მოწყობა). სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ გულისხმობს არსებული პრაქტიკის კიდევ უფრო განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატი იქმნება მთლიანი სასკოლო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობით. კერძოდ, მასწავლებლები არიან ერთმანეთის მხარდამჭერები სასწავლო პროცესში და ორიენტირებული არიან მოსწავლეებს შეუქმნან უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემო, დაგეგმილია აქტივობები, (კლასის მორთვა სეზონებისა და დღესასწაულების მიხედვით, გასვლითი აქტივობების დაგეგმვა, ჯგუფური სამუშაოების დაგეგმვა), რომლებიც ითვალისწინებს მშობლების მონაწილოებას, სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო საათი, მიმდინარეობს აღმზრდელობითი და ღირებულებითი მუშაობა სხვადასხვა ფორმით: ფილმების ჩვენება-განხილვა, დისკუსია, მიღებული და დაფასებულია თითოეულის მოსაზრება. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ არსებულ გამოცდილებაზე დაფუძნებით სამომავლოდ კიდევ უფრო გაძლიერდება სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- სკოლის სამეურვეო საბჭო სხდომის ოქმი ·
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების და შეფასების ფორმა
- კათედრის ანგარიშები
- სასკოლო კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგია;

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწვლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სკოლას დირექტორის ბრძანებით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. წინამდებარე მექანიზმის მიზანია დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემა იყოს ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი. პროცესების ვერიფიკაციას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შექმნასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს აწესრიგებს დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. მონიტორინგი და შეფასება განხორციედება სწორედ ამ მექანიზმის საშუალებით, რაც გულისხმობს იმის დადგენას, რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). იგეგმება დიაგნოსტირება, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის

წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. იგეგმება კითხვარების შედგენა მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომელზეც დაყრდნობითაც და მიღებული შედეგების გათვალისწინებით მოხდება კურიკულუმის მოდიფიცირება მოსწავლეზე ორიენტირებით. პროცესი წარიმართება კათედრის წევრებისა და დირექციის აქტიური თანამშრომლობით. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით: კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ვერიფიკაციის მექანიზმი და სკოლის თვითშეფასების განაცხადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგი და შეფასება ემხასურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას

სკოლა გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების იმგვარად წარმართვას, რომ გააძლიეროს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა. შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით გამოიკვეთება სასწავლო პროცესში რამდენად იყო/არ იყო მოსწავლეების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, პრობლემების იდენტიფიცირება, ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირი, მასწავლებელების ურთიერთდასწრება და რეფლექსია, მათ დაეხმარება თვალი ადევნონ პროცესის მიმდინარეობას, შეაფასონ შედეგები და არსებული გამოცდილებისა და ახალი შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მოიაზრება, როგორც მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწის, გამოვლენილი სირთულეების გაანალიზების მექანიზმი. სემესტრის ბოლოს მასწავლებლები კათედრას წარუდგენენ სასწავლო წლის დასაწყისში დაგეგმილი ღონისძიებების, პროექტების, აქტივობების ანგარიშს, კურიკულუმის განხორციელების პროცესის რეფლექსიას, მიიღებენ მოსწავლეებისგან და მშობლებისგან უკუკავშირს, მიღებული შედეგები გააანალიზდება პედაგოგიურ საბჭოზე. მექანიზმში დეტალურადაა გაწერილი მიზნები და მისაღწევი შედეგები, თუ რამდენად იყო სასწავლო პროცესი ორიენტირებული სასწავლო მიზნებზე. აქცენტი კეთდება აქტივობების განხორციელებისას გამოკვეთილ ძლიერი მხარეებზე, ასევე იმ საჭიროებებზე, რომელიც გაუმჯობესებას მოითხოვს. საბაზო საფეხურის კლასების პედაგოგები პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ დაგეგმავენ შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები

- ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12
- სამუშაო ჯგუფის ანგარიში.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები

2.3.2 სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად შეფასება ეყრდნობა შემდეგ წყაროებს, კერძოდ, პროცესში ჩართული არიან მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები, მშობლები და მოსწავლეები, რასაც ადასტურებს შეფასების პროცესში გამოყენებული სხვადასხვა საშუალებები, მაგ: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადიაგნოსტიკო ტესტები, მათ შორის ფოკუსირებული დაკვირვება, მშობლის და მოსწავლის უკუკავშირი, არაფორმალური განათლების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია, სასწავლო შემოქმედებით ოლიმპიადებზე მიღებულ შედეგები. მასწავლებლებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, რომ სათანადო ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას.. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვლისწინებით**

სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ შეფასება გამოიყენებოდა არამარტო მოსწავლეების მიღწევების დასადგენად, არამედ მათი სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად. სრული სურათის მისაღებად მოსწავლეებზე დაკვირვება და შეფასება მიმდინარეობს როგორც სასკოლო, ისე არაფორმალურ გარემოში - საკლასო-საშინაო აქტივობებში, პროექტებში და სხვა კლასგარეშე ღონისძიებებში (მაგ: მოსწავლის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა, გარემო კლიმატი, ურთიერთობები თანატოლებთან, მისი ჩართულობა და ქცევა სხვადასხვა გარემოში (სპორტული შეჯიბრება, ექსკურსია)) მიღებული მონაწილეობის საფუძველზე, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე, რომ შესაბამისად მოხდეს მოსწავლის პროგრესის და მათი საჭიროებების შეფასება.. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

შეფასებისას მონაცემთა შეგროვებისათვის, როგორც სკოლის თვითშეფასების განცხადშია აღნიშნული, მიმართავენ მოსწავლეებზე დაკვირვებას, პრეზენტირების, გუნდური მუშაობის, დროის მართვის უნარებს. ხდება მონაცემების გაანალიზება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეაფსებას. სამომავლოდ გეგმავენ არსებული მეთოდების გამრავალფეროვნებას მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, დაკვირვება, ფოკუს ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ მოსწავლესთან, საჭიროების შემთხვევაში მშობელთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით

სკოლის თვითშეფასების განაცხადის მიხედვით შეფასება ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, შეფასების დროს გათვალისწინებულია გარემო, დროის მენეჯმენტი, ფსიქო-ემოციური ფონი, კლასის პროფილის შექმნა, მოახდენენ მოსწავლეთა უნარების და ინტერესების დიფერენცირებას. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მასწავლებელები და დამრიგებელები აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები ახდენს გავლენას შედეგზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12
- მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა და სხვა დანარჩენი შეფასების რუბრიკები დაწყებით საფეხურზე.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- სადამრიგრბლო პროგრამები;
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმს გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ირკვევა და ინტერვიუშიც აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შეიქმნას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: **მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში** (რა ფაქტორები და სასწავლო პრაქტიკა აფერხებდა/უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას (მათი მხრიდან კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, მოქალაქეობის (ემპათია, პასუხისმგებლობა), ხასიათისა და ნებელობის, კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარების გამოვლენას; რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მათ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში); **მოსწავლეთა შედეგები** (რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები/სასწავლო პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას);

მშობელთა ჩართულობა (რამდენად გაითავისეს (გაიაზრეს, გაიზიარეს) მშობლებმა სკოლის ფილოსოფია (მისია-ხედვა-ღირებულებები) და სასკოლო კურიკულუმი (სწავლა-სწავლების მიზნები, სწავლების მეთოდების შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები); რამდენად შეძლეს მათ სკოლის მისიისა და კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან; რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მშობლებთან კომუნიკაციას (სასწავლო პროცესში მათ ჩართვას; სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას/გამოკვეთას); **კათედრის მუშაობა** (რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების, სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესწავლის მიმართულებით); **სკოლის დირექცია** (რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს სკოლის დირექციის ჩართულობას შემდეგი პროცესების განხორციელება-შესწავლაში: სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება,

სკოლის ინსტიტუციური განვითარება, რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობა/უშლიდა ხელს სასწავლო პროცესის დაკავშირებას სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან).

თითოეულ ზემოჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სასკოლო საზოგადოების წევრები შექმნიან რეკომენდაციების პაკეტს საგნობრივი კათედრების დონეზე, სადაც გათვალისწინებული იქნება დაგროვილი გამოცდილება, ანალიზი, ინტერვიუები, რეფლექსიები (ჩატარებული გაკვეთილის, კომპლექსური დავალების, პროექტის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ჩატარებული კომპლექსური დავალების). მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. მასწავლებლები შუალედური მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად განიხილავენ კომპლექსურ დავალებებსა და პროექტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმის გადამუშავების ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებასა და ითვალისწინებს მონტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად კურიკულუმები შექმნილია არსებული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, გათვალისწინებულია გამოკვეთილი ხარვეზები და წარმატებული პრაქტიკა. შექმნილი რეკომენდაციების პაკეტი უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. სამომავლოდ გეგმავენ, კვლავაც გაითვალისწინონ მონიტორინგისა და შეაფსების ანალიზის შედეგები და შესაბამისი ცვილებები შეიტანონ კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები.
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2.1 კურიკულუმის შემუშავება

2.1.1 კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოებს ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობებს

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მეთოდოლოგიის თანახმად, კურიკულუმის შემუშავება მოიაზრება სასწავლო წლის

განმავლობაში მიმდინარე პროცესად, რომელშიც მონაწილეობს სასკოლო თემის (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი, სკოლის ადმინისტრაცია, დირექცია) წარმომადგენელები, რაც საშუალებას იძლევა გათვალისწინებულ იქნას თითოეულის ინტერესი, შესაძლებლობა, პრიორიტეტები. სასკოლო კურიკულუმში ცვლილებების ასახვა ხდება მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების დამუშავების

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საშუალო საფეხური	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საფუძველზე, კერძოდ, კათედრაზე გაანალიზებული იქნა მასწავლებელების მიერ პრაქტიკული საქმიანობა, არსებული გამოწვევები, ასევე გათვალისწინებული იქნა მშობლების , მოსწავლეების მოსაზრებები, უკუკავშირი. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ სამომამვლოდ გეგმავენ, მეტად ჩართონ სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შემუშავების

პროცესში, ასევე იგეგმება მშობელთა ჩართულობის გაძლიერება, რაც საშუალებას მისცემს მასწავლებლებს გაითვალისწინონ კურიკულუმში სასკოლო საზოგადოების ინტერესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.1.1.2 კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადეობის ინტერესები

სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა ადგილობრივი საჭიროებები და შესაძლებლობები, გაკვეთილების, პროექტების და კლასგარეშე ღონისძიებების კომპონენტების გამოყენებით დაიგეგმა მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი აქტივობები ფორმალური და არაფორმალური განათლების კუთხით, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ინტერესები, ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები, რომელიც მჭიდროდ დაუკავშირდება და შეავსებს მოსწავლის ცხოვრებისეულ გამოცდილებას. სკოლის ადმინისტრაცია მხადამჭერია სასკოლო საზოგადოების წევრების ინიციატივებისა, რასაც ადასტურებს კიდეც განხორცილებული პროექტები და ღონისძიებები. სკოლაში შექმნილია კლუბები : ეკო-კლუბი, მეწარმეობის კლუბი, ,,ქიმიკოსთა სამეფო კლუბი", მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ შექმნილი ჭადრაკის წრე და ჟურნალისტიკის წრე, აქტიურად ტარდება კლასის საათი სადამრიგებლო პროგრამის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2.1.1.3 კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადეობის მიერ

კურიკულუმის შექმნისას კათედრაზე აქტიურად თანამშრომლობენ მასწავლებლები, სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია რომ, ისინი წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, წარმოადგენენ ანგარიშებს, სამომავლოდ კი იგეგემება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული სასწვალო პროცესი. დაწყებით საფეხურზე განხორციელებული აქტივობები, კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი პროექტები ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდზე და კლასის სასაუბრო ჩატში იგზავნება. ასევე განიხილავენ მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრებზე და კათედრაზე, სადაც იგეგმება პრობლემის გადაჭრის გზები. შექმნილი კურიკულუმები ხელმისაწვდომია საჯარო სკოლის საზოგადოებისთვის. სამომავლოდ იგეგმება მშობელთა ჩართულობის გაძლიერება, მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით კლუბებისა და წრეების შექმნა, აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკის განვითარებისა.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.1.1.4კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად სასკოლო კურიკულუმი შექმნილია სასკოლო საზოგადოების წევრების ძირითადად დირექციისა და მასწავლებლების მონაწილეობით, სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: მშობელთა კრებები, Teams-ის

პლატფორმა, სოციალური ქსელები, იგეგმება სკოლის ვებგვერდის შექმნა. ასევე შემაჯამებელ აქტივობებს წარადენენ სასკოლო საზოგადოების წინაშე, თუმცა გეგმავენ მეტად წაახალისონ საბაზო საფეხურზე მშობლებისა და მოსწავლეების ინიციატივები. მომავალში იგეგმება სკოლამ შეიმუშავოს უკუკავშირის მიღების მექანიზმი: კითხვარის ფორმით, რომელიც შეიძლება იყოს წარმოდგენილი მატერიალური ან ელექტრონული ფორმით. კურიკულუმების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა), საბოლოო ვერსიის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს სკოლა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი №15
- საგნობრივი კათედრის ოქმები
- კათედრის ანგარიშები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის ოქმი;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს.

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.

სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმებში განსაზღვრულია გრძელვადიანი სასწავლო მიზნები სამიზნე ცნებების/ქვეცნებების სახით, საკითხები, რესურსები და უკვე შერჩეული ერთი ან ორი კომპლექსური დავალება. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში აპირებენ შეიმუშაონ ისეთი კომპლექსური დავალებები, რომლებიც გამოიწვევს ცნობისმოყვარეობას, განავითარებს მოსწავლის შემოქმედებით უნარებს და ფანტაზიას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს(გლობალურ-ფუნქციური უნარები) მაკროცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები.

კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში, კარგად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული საგნების (ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია) სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები, შერჩეულია მიზნების შესაბამისი საკითხები, ყველა თემაში განსაზღვრულია ყველა სამიზნე ცნების დამუშავება. კომპლექსური დავალების პირობები მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის თეორიაზე დაყრდნობით. საგნობრივი კურიკულუმები ორინეტირებულია მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. აღსანიშანვია, რომ საშუალო საფეხურის მაგალითად, საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი კურიკულუმის (მსოფლიოს ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა), ჩარჩოებში ძირითადად ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები/კლასტერები, სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება, განსაზღვრულია კონტექსტ მაგალითებიც და კომპლექსური დავალების იდეები, რაც ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას.

კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საფუძველს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურებისა, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს.

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირებას. (მაგ: პროექტი, სხვადასხვა აქტივობები, კლუბები) . ამ მიმართულებით სკოლას აქვს კიდეც გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ განხორცილებული არაფორმალური აქტივობები.

კურიკულუმის ჩარჩოებში ძირითადად ასახულია სავალდებულო თემები, საკითხები/კლასტერები, სადაც დაგეგმილია კომპლექსური დავალება, განსაზღვრულია კონტექსტ მაგალითებიც და კომპლექსური დავალების იდეები, რაც ემსახურება კონკრეტული საკითხის კონტექსტში სამიზნე ცნებების გააზრებას.

კომპლექსური ბუნების დავალებები იძლევა საფუძველს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარი) და მაკრო ცნებების გააქტიურებისა, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები მიემართება მაკრო ცნებებსა და ფუნქციურ-კომპონენტურ უნარებს.

მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ კათედრა გეგმავს ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირებას. (მაგ: პროექტი, სხვადასხვა აქტივობები, კლუბები) . ამ მიმართულებით სკოლას აქვს კიდეც გამოცდილება, რასაც ადასტურებს მათ მიერ განხორცილებული არაფორმალური აქტივობები.

კურიკულუმის ჩარჩოები შექმნილია საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად, თუმცა საჭიროებს გაუმჯობესებას. მაგალითად მე-10 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმში არცერთ თემაში არ არის განსაზღვრული კომპლექსური დავალების იდეა, კონტექსტ-მაგალითი და მაგალითები შედარებისთვის; მე-11 კლასის გეოგრაფიის კურიკულუმი არ არის წარმოდგენილი;

მოქალაქეობის პირველ თემაში არ ჩანს სამიზნე ცნებები: დემოკრატია, სამოქალაქო მონაწილეობა, მდგრადი განვითარება; მეორე თემაში არ ჩანს სამიზნე ცნებები: საზოგადოება, დემოკრატია, მდგრადი განვითარება; არ არის განსაზღვრული კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისათვის;

საქართველოს და მსოფლიოს ისტორიაში არ არის განსაზღვრული ქვეცნებები სამიზნე ცნებებთან მიმართებით, არ არის წარმოდგენილი ისტორიის მე-11 კლასის კურიკულუმი.

რჩევა: მნიშვნელოვანია კურიკულუმის ჩარჩოებში თითოეულ თემაში ჩანდეს ყველა სამიზნე ცნება, ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე პერიოდში სრულად უნდა შეივსოს კურიკულუმის ჩარჩო კომპლექსურ დავალებებთან მიმართებით - განისაზღვროს კონტქსტ მაგალითი, კომპლექსური დავალების იდეა და მაგალითები შედარებისთვის, ასევე სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცებამდე უნდა გაიწეროს კურიკულუმი მე-11 კლასის გეოგრაფიისა და ისტორიის საგნებში, აუცილებელია გამოიკვეთოს თითოეული სამიზნე ცნების ჭრილში რომელი ქვეცნება დამუშავდება, ქვეცნებების რაოდენობა უნდა განისაზღვროს გონივრულად - რამდენიც რეალურად დამუშავდება. მასწავლებლებს პირველივე ვიზიტზე მიეცათ უკუკავშირი ხარვეზებისა და მისი გამოსწორების შესახებ, მათ აქვთ მზაობა ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე განაახლონ კურიკულუმების ჩარჩოები.. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს

წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა (სკოლის თვითშეფასების განაცხადი, საგნობრივი კურიკულუმები) და მასწავლებლებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებსა და საჭიროებებს. დიფერენცირებას ახდენენ მზაობის, ინტელექტის, დასწავლის ტიპის მიხედვით, და იყენებენ დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიებს. სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება ისგ ჯგუფები, რომელიც იკრიბება მინიმუმ 2-ჯერ, სემესტრის დასაწყისსა და ბოლოს. მტკიცდება ინდივიდუალური გეგმები და ხდება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი. სპეცმასწავლებელი მასწავლებლებთნ ერთად სასწავლო პროცესში აკვირდება მოსწავლის განვითარებას, რომლის საფუძველზეც მუშავდება და მტკიცდება მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული ინდივიდუალური გეგმა. განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განვითარების გზებს ერთობლივად ახორციელებენ ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, მშობელი, მასწავლებლები. სკოლას მშობლებთან თანამშრომლობით შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი მოსწავლეთათვის ნაცნობი კონტექსტ მაგალითები, მათზე დაფუძნებული კომპლექსური დავალების იდეები, მრავალფეროვანი შემოქმედებით პროდუქტები საშუალებას იძლევა მოხდეს შესაბამისი დიფერენცირება. სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეებისათვის, ფუქციონირებს ლიფტი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს

შესწავლილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ საშაულო საფეხურზე იყენებენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით დამტკიცებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მოსწავლეებს წინასწარ აცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, რომლის შემუშავებაც ხშირად მათი ჩართულობით ხდება. საგნობრივ კათედრებს შემუშავებული აქვთ შეფასების სქემები, მაგალითად: დისკუსიის, ინფორმაციის მოძიების, ჯგუფური მუშაობის, პრეზენტაციის, პროექტის, სხვადასხვა წერითი სამუშაოს და სხვ. განმავითარებელი შეფასებისთვის გამოყენებულია კომენტარი/უკუკავშირის ზეპირი და წერილობითი ფორმა, დაკვირვება, მოსწავლეთა ურთიერთშეფასება, თვითშეფასება, შეფასების კომპონენტებად მოიაზრება კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმებიც. განმავითარებელი შეფასება მასწავლებლების მხრიდან განიხილება სასწავლო პროცესის ნაწილად , შედეგების გაუმჯობესების გზად. იგეგემება, მომავლი სასწავლო წლისათვის შეიქმნას განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორებზე დაყრდნობით და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საფეხურეობრივ შედეგებთან მიმართებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულის წინარე გამოცდილების ანალიზი

შესწავლილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი. კერძოდ, კათედრებზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის, მასწავლებლების თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასების საფუძველზე ხდება ხარვეზების გამოვლენა, გადაჭრის გზების დასახვა, გამოცდილების გაზიარება. არსებული გამოცდილების გათვალისწინებით იქმნება საგნობრივი კურიკულუმები. (მაგალითად: სასკოლო კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგიის თანახმად მასწავებლები ეტაპობრივად ჩაინიშნავენ აქტივობებსა და რესურსებს, რომლებიც წარმატებით გამოიყენეს პრაქტიკაში და მუშაობის პროცესში შეავსებენ თემატურ მატრიცას, რომელშაიც აისახება წარმატებული პრქატიკა, რაც მომავალი სასწავლო წლისათვის იქნება წინარე გამოცდილება). მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მომავლშიც

მოსწავლეთა შედეგების ანალიზისა და მასწავლებელების თვითრეფლექსიის (მაგ: თემატური მატრიცის ანალიზი, კვლევა და სხვა), საფუძველზე მოხდება კურიკულუმების გადამუშავება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსურიო დავალებები
- კათედრის ანგარიშები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- კომპლექსურ დავალებაში გამოყენებული შესაბამისი რესურსები.
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძლება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს.

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.

სკოლის თვითშეფასების განაცხადის მიხედვით გასულ სასწავლო წელს საბაზო და საშუალო საფეხურზე დაინერგა კომპლექსური დავალებები, კლუბების მიერ აქტიურად ტარდებოდა სხვადასხვა აქტივობები, განხორციელდა პროექტები, მაგ. პროექტი - „დედამიწა-ცოცხალი პლანეტა“, „დავიცვათ ერთმანეთის უფლებები“, „ეკოსკოლები“, „ჩვენც დავბერდებით“, „საქართველო და ევროპული ღირებულებები“ „ახალი წელი“ და სხვა.

წარმოდგენილი კურიკულუმები მოსწავლეს სთავაზობს მრავალფეროვან საკითხებს, კომპლექსური ბუნების დავალებები ნაცნობ კონტექტსებზე დაყრდნობით მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს თავი წარმოიდგინოს სხვადასხვა რეალურ გარემოში, განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი პროდუქტები (საგაზეთო სტატია, არგუმენტირებული ესე, მოგზაურის პორტფოლიო, სასამართლო პროცესის ინსცენირება, ისტორიული წყარო, კოგნიტური ცხრილი, კომიქსი, მოხსენება, მაკეტი, და სხვა). არჩევანისა და გამოხატვის თავისუფლება მოსწავლეებში ამაღლებს მოტივაციას და ხელს უწყობს აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართვას. სკოლის თვითშეფასების ფორმაში მოცემული აღწერილობის თანახმად, გარდა კომპლექსური დავალებებისა მოსწავლეების აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას უზრუნველყოფს საკლასო თუ სასკოლო პროექტები. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ გეგმავენ ფორმალური და არაფორმალური განათლების კომპონენტების ინტეგრირების გაძლიერებასა და კლუბური და პროექტული საქმიანობის გაგრძელებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ახალ მასალაზე მუშაობისას სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების თანახმად, ცოდნის კონსტრუირებას გეგმავენ მოსწავლეების წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეები ნაცნობ კონტექსტებზე დაფუძნებული დავალებებით, მასწავლებლების ფასილიტაციითა და უკუკავშირით აგებენ ახალ ცოდნას, აკეთებენ დასკვნებს, ქმნიან საინტერესო პროდუქტს და პრეზენტაციაზე ხსნიან თავიანთ ნამუშევრებს. მომავალშიც იგეგმება მოსწავლის საჭიროებებზე ყურადღების გამახვილება და მათი მზაობის, ინტერესების გათვალისწინება, რაც დაეხმარება

მასწავლებლებს უკეთ მოარგონ თითოეულ მოსწავლეს კომპლექსური დავალება, ახალი ცოდნის აგება მოსწავლემ მოახდინოს თავის წინარე ცონდა/გამოცდილებაზე დაფუძნებით. წარმოდგენილ კურიკულუმებში სავალდებულო თემების ფარგლებში შესასწავლი საკითხები იმგვარადაა შერჩეული, რომ ითვალისწინებს წინარე ცოდნას და მასზე ახალი ცოდნის დაშენებას. კომპლექსური დავალების კონტექსტები იმგვარადაა შერჩეული, რომ ახლოს დგას მოსწავლეთა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან, მას უხდება პრობლემის გადაჭრა, ანალოგიების გაკეთება (დაუკავშიროს საკუთარ გარემოს) ნასწავლის შემოქმედებით პროდუქტში გამთლიანება. მასწავლებელბმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ფორმალურ და არაფორმალური განათლებას გეგმავენ იმგვარად, რომ საგაკვეთილო პროცესში მიღებული ცოდნა და გამოცდილება წარმოადგენს წინარე ცოდნას არაფორმალური აქტივობების განხორციელებისას და პირიქით. კათედრა სამომავლოდ გეგმავს არსებული პრაქტიკის გაძლიერებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

კურიკულუმით დაგეგმილი კომპლექსური ბუნების დავალებების განხორცილება მოიაზრებს სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებას. დავალებების საკვანძო შეკითხვებზე მუშაობა სწორედ მეტაკოგნიციას გულისხმობს. მოსწავლეს უხდება საკუთარი სასწავლო პროცესის ანალიზი, დაგეგმვა, მისთვის მოსახერხებელი სწავლის სტრატეგიების შერჩევა/შეფასება. სკოლის თვიშეფასების განაცხადშიც აღნიშნულია და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგადაც დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესში ყურადღება ექცევა შესასწავლი საკითხების ათვისებისას, იყენებენ სტრადეგიებს, რომელიც ეხმარება მოსწავლეს ცოდნის ორგანიზებაში და დამოუკიდებლად დასკვნების გამოტანაში, დაგეგმილი აქტივობები ორიენტირებულია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე თვითშეფასების, ურთიერთშეფასების და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლატარიული, პროცედურული და პირობისეული)

ცოდნის სამ კატეგორიაზე ორიენტირებულობა იკვეთება საგნობრივ კურიკულუმებში, წარმოდგენილი საკითხების შესწავლაზე მუშაობა და კომპლექსური დავალების იდეების განხორციელება მოიაზრებს ცოდნის სამივე კატეგორიას. მაგალითად, მე-9 კლასში ისტორიის საგანში დაგეგმილი კომპლექსური დავალების იდეა გულისხმობს პოსტერის შექმნას სახელმწიფოს ტოტალურ რეჟიმად გარდაქმნის პროცესთან დაკავშირებით, ამისათვის მან უნდა გაიაზროს, რა არის პოსტერი, დაფიქრდეს, რისთვის ქმნის მას და შექმნას შესაბამისად. (ცოდნის სამი კატეგორია). ასევე არაფორმალური აქტივობები მოიაზრებს მოსწავლის მიერ პრობლემის ანალიზს, საჭირო რესურსების მოძიებას და კონკრეტული პრობლემის მიხედვით დამუშავებას. სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად და მასწავლებელებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლა კვლავაც გეგმავს პროექტული, პრობლემაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთაკავშირება

საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგავრად, რომ მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მოსწავლეს ცოდნის

კონსტრუირების პროცესში უხდება წინა მასალის ან სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირში გააზრება. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას უწყობს ხელს ასევე ინტეგრირებული გაკვეთილები, განხორციელებული ერთობლივი პროექტები და არაფორმალური აქტივობები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ არსებული პრაქტიკა კვლავაც გაგრძელდება და გამოყენებულ იქნება სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- მასწავლებლის მატერიალური პორტფოლიო
- კათედრის ანგარიშები
- გახორციელებულ პროექტები - „სპორტი და ჯანმრთელობა - გზა ჯანმრთელობისკენ“„დედამიწა- ცოცხალი პლანეტა“, „დავიცვათ ერთმანეთის უფლებები“, „ეკოსკოლები“, და სხვა
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით

საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშლილია შესასწავლი თემები საგნების მიხედვით, კომპლექსური დავალებები, რომელიც მიემართება სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენებისკენ. კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხები და მათი შესწავლისათვის შერჩეული რესურსები შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს სამიზნე ცნებისა და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. მნიშვნელოვანია ასევე ქვეცნებების განსაზღვრა, რომელთაც უკავშირდება საკითხები და ქვესაკითხები. მასწავლებლებმა (ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამომავლოდ პროცესის გრძელვადიან მიზნებზე (სამიზნე ცნებებზე) ორიენტირებაში ისინი აქტიურად გამოიყენებენ შუალედურ სასწავლო მიზნებს (კომპლექსურ დავალებებს). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პრივნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივი კურიკულუმები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კერძოდ: საგნობრივ კურიკულუმებში ასახული საკითხები მოსწავლეთათვის არ იქნება რთულად აღსაქმელი, რადგან მათთვის ნაცნობ კონტექსტებს უკავშირდება, რაც მოსწავლისთვის დადებით ფსიქო-ემოციურ პირობებს ქმნის და მოსწავლეს პოზიტიური დამოკიდებულება უყალიბდება სწავლის მიმართ. შეთავაზებული კონტექსტები და შედარების მაგალითები ერთგვარ დამხმარე რგოლს ქმნიან სასწავლო მიზნის მისაღწევად. კომპლექსური ბუნების დავალებებზე, პროექტებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესი მოსწავლეს მოიაზრებს სუბიექტად და ხელს უწყობს მის პიროვნულ ზრდას, გამოუმუშავებს თანამშრომლობის, ურთიერთობების დამყარების, სხვათა მოსაზრებების პატივისცემის, ემოციების მართვისა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერების უნარს. როგორც სკოლის თვითშეფასების ფორმაშია აღნიშნული, იგივე მიზანს ემსახურება სასკოლო აქტივობები, რაც დასტურდება წარმოდეგნილი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. შეფასების სიტემა ორიენტირებულის მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე.

სკოლის თვითშეფასების განაცხადისა და სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით ცხადია, რომ სკოლას გააზრებული აქვს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების მიზნები და ამოცანები. შეფასების პროცესში, ითვალისწინებენ მოსწავლის შესაძლებლობებს არა მხოლოდ ერთი კონკრეტულ კომპეტენციის ფარგლებში, არამედ ზოგადად მის ძლიერ მხარეებს, ინტეგრირებულ ცოდნას, სირთულეებისთვის თავის გართმევას უნარს, შემოქმედებით უნარებს თუ ისტ-ის კომპეტენციებს. სასკოლო კურიკულუმებს თან ერთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუში სახვადასხვა საგანში მასწავლებლემბა ინტერვიუს დროს აღნიშნეს რომ იყენებენ სხვადასხვა შეფასების რუბრიკებს: პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატის და სხვა შეფასების რუბრიკებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა პროცესში ჩართულობას და ეხმარება ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულებების განვითარებაში. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე იგეგმება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა. მასწავლებელთა მიერ შეფასების პროცესი მოიაზრება სასწავლო პროცესის ნაწილად და ორიენტირებულია მოსწაველეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი~

სკოლის თვითშეფასების განაცხადის მიხედვით შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკები ეფუძვნება ეროვნულ სასწავლ გეგმას, განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ, შეფასების რუბრიკების (დისკუსიის, ექსპერიმენტის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატის, სხვადასხვა წერითი სამუშაოების რუბრიკის შექმნის პროცესში.) შექმნაში მონაწილეობენ მოსწავლეებიც, რათა მათთვის ცხადი იყოს

შეფასების სისტემა. შეფასება არის ვალიდური, ფასდება ის , რისი შეფასებაცაა განსაზღვრული. მოსწავლეებმა იციან, რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა ნაშრომმა. შეფასების სქემა მკაფიოა, რაც განაპირობებს მის თანაბარ სამართლაინობას მოსწავლეების მიმართ. სკოლა თვითშეფასების განაცხადში აღნიშნავს, რომ შეფასების ინსტრუმენტები ირჩევა მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

5. სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი

სკოლის თვითშეფასების განაცხადის და ვერიფიკაციის მექანიზმის დოკუმენტის მიხედვით უკვე მოხერხდა სკოლის დონეზე ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვა, რაც ემსახურება ობიექტურობას, სანდოობას, გამჭირვალობას, ვალიდურობის პრინციპების დაცვას შეფასების პროცესში. მექანიზმში გაწერილი აქვთ ყველა განმახორციელებელი რგოლის ვალდებულება, განსაზღვრულია პასუხისმგებელი სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ვერიფიკაციის მექანიზმის პროცედურების სრულყოფილად შესრულებას. სკოლას აქვს ამ მიმართულებით გარკვეული გამოცდილება, ხდება შეფასების მოსწავლეების მიღწევების ანალიზი, იგეგემება მომავალ წელს სადიაგნოსტიკო შეფასება. აქვთ მზაობა კიდევ მეტად დახვეწონ არსებული შეფასების სისტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას, სკოლაში დაცულია ჟურნალები, ელექტრონული ჟურნალის მონაცემები, მოსწავლის პირადი საქმეები, სადამრიგებლო პროგრამები, დოკუმენტების შენახვა ხორციელდება კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში და უზრუნველყოფილია მისი ხელმისაწვდომობა კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები.
- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- ვერიფიკაციის მექანიზმი.
- პედაგოგთა უკუკავშირის ფორმები
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;

2.2.3 სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას.

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭრი და მიმღბლობითი გარემო

სკოლაში შექმნილია მიმღებლობითი გარემო. კერძოდ, სასწავლო პროცესში მასწავლებლები, სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მოსწავლეთა მხარდაჭერას მათზე მორგებული კურიკულუმების დანერგვით, პროექტების, საკლუბო თუ სხვადასხვა აქტივობების განხორციელებით. მიღებულია თითოეულის მოსაზრება, წახალისებულია მათი ინიციატივები. სკოლაში ბრძანებით შექმნილია მასწავლებელთა განვითარებისა (ხარისხის მართვის) და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც მუდმივად ზრუნავს მასწავლებელთა განვითარებაზე სწორი უკუკავშირებითა და რეფლექსიით. ასევე დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ ახალი მოსწავლის მიღების ადაპტაციის მექანიზმს. მოსწავლეთათვის გაცემული უკუკავშირის მიზანია პროგრესის ხელშეწყობა. სკოლა უზრუნველყოფილია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიით, მოსწავლეთა ასაკობრივი დონეების შესაბამისი საკლასო ავეჯით, ბიბლიოთეკით, ადაპტირებული სველი წერტილებით, სკოლას აქვს პანდუსი, რესურს ოთახი, ლიფტი, ბუფეტი, ბუნებრივი და ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნები, სპორტული დარბაზი. სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ ყოველივე ეს უზრუნველყოფს პოზიტიურ სასწავლო გარემოს შექმნას და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. არსებული მიდგომები განვითარებას ჰპოვებს მომავალშიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად

სასწავლო პროცესის მოსწვალეზე ორიენტირებულად წარმართვის ხელშემწყობად მოიაზრება არსებული საგნობრივი კურიკულუმები რომლის შემუშავება და სასკოლო საზოგადოებისთვის გაცნობა წლის დასაწყისში ხდება, სამოქმედო გეგმები ორიენტირებულია მოსწავლის საგაკვეთილო პროცესსა და კლასგარეშე აქტივობებში აქტიურ ჩრთულობაზე. სასწავლო პროცესი ისეა დაგეგმილი, რომ გათვალისწინებული იყოს გასული წლის რეფლექსიის, ანალიზის, დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაცია მოსწავლის საჭიროებებისა და ინტერესების შესახებ. სამოქმედო გეგმაში გაწერილი კომპლექსური დავალებები, საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში მონაწილეობა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსური ბუნების დავალებებს, სადაც მოსწავლე თავად არის სასწავლო პროცესის დამგემავი, რაც ზრდის ავტონომიურობის განცდას. არაფორმალური აქტივობები ასევე მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე და ხელს უწყობს თანამშრომლობითი, უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას. შეფასება ემსახურება მოსწავლეთა პროგრესის ხელშეწყობას. სასწავლო პროცესში მოსწავლე მასწავლებლის ფასილიტაციით თავად აგებს ახალ ცოდნას, გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები დიფერენცირებული დავალებებით, მოსწავლეებს ეძლევათ კონსტრუქციული უკუკავშირები, გამოყენებულია განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი ინსტრუმენტები, როგორიცაა: შესასვლელი და გასასვლელი ბარათები, „ვიცი, გავიგე, მინდა

ვიცოდე“, გრაფიკული მაორგანიზებლები, თვითშეფასების ბარათი. მასწავლებლებმა ინტერვიუში აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა საჭიროებებს სწავლობენ როგორც საგაკვეთილო ისე არასაგაკვეთილო პროცესში, რაც ეხმარება მათ მოსწავლეზე ორიენტირებულად სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას

სკოლას სათანადო დონეზე აქვს განვითარებული თანამშრომლობითი კულტურა. კერძოდ, მასწავლებლები თამანშრომლობენ კურიკულუმების შედგენისა და განხორციელების პროცესში (გამოცდილების გაზიარება, შედეგების რეფლექსია, გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, გეგმავენ პრობლემების მოგვარების გზებს), სკოლა ურთიერთნამშრომლობის კულტურის გაძლერების მიზნით გეგმავს უფრო მეტი ინტეგრირებული გაკვეთილების, ერთობლივი პროექტების, გასვლითი ღონისძიებების ჩატარებას. გასვლით ღონისძიებებში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობით ურთიერთთანამშრომლობის კულტურის ამაღლებას, კათედრების ხელმძღვანელები 2023-24 სასწავლო წლისთვის გეგმავენ „კათედრების სათათბირო“-ს რომელიც მოიაზრებს კათედრების მუშაობის სისტემის გაძლიერებას. (მაგ. კათედრებზე განსახილველი დოკუმენტაციის შემუშავება, ერთობლივი ღონისძიებების, პროექტების, კვირეულების მოწყობა). სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ გულისხმობს არსებული პრაქტიკის კიდევ უფრო განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატი იქმნება მთლიანი სასკოლო საზოგადოების მჭიდრო თანამშრომლობით. კერძოდ, მასწავლებლები არიან ერთმანეთის მხარდამჭერები სასწავლო პროცესში და ორიენტირებული არიან მოსწავლეებს შეუქმნან უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემო, დაგეგმილია აქტივობები, (კლასის მორთვა სეზონებისა და დღესასწაულების მიხედვით, გასვლითი აქტივობების დაგეგმვა, ჯგუფური სამუშაოების დაგეგმვა), რომლებიც ითვალისწინებს მშობლების მონაწილოებას, სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო საათი, მიმდინარეობს აღმზრდელობითი და ღირებულებითი მუშაობა სხვადასხვა ფორმით: ფილმების ჩვენება-განხილვა, დისკუსია, მიღებული და დაფასებულია თითოეულის მოსაზრება. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს გააზრებული აქვს საკუთარი პასუხისმგებლობა. ინტერვიუში აღნიშნეს, რომ არსებულ გამოცდილებაზე დაფუძნებით სამომავლოდ კიდევ უფრო გაძლიერდება სასკოლო საზოგადოება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი
- სკოლის სამეურვეო საბჭო სხდომის ოქმი ·
- საგნობრივ კათედრებზე გამოცდილების გაზიარება.
- მასწავლებელთა ურთიერთდასწრების და შეფასების ფორმა
- კათედრის ანგარიშები
- სასკოლო კურიკულუმის განვითრების მეთოდოლოგია;

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწვლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად.

სკოლას დირექტორის ბრძანებით შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ვერიფიკაციის მექანიზმი. წინამდებარე მექანიზმის მიზანია დაწესებულებაში გამოყენებული შეფასების სისტემა იყოს ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისი. პროცესების ვერიფიკაციას ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის შექმნასთან დაკავშირებულ პროცედურულ საკითხებს აწესრიგებს დაწესებულებაში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები. მონიტორინგი და შეფასება განხორციედება სწორედ ამ მექანიზმის საშუალებით, რაც გულისხმობს იმის დადგენას, რამდენად მიმდინარეობს პროცესები დაგეგმილი ჩარჩოს ფარგლებში (მონიტორინგი); რამდენად მოაქვს დაგეგმილ აქტივობებს სასურველი შედეგი (შეფასება). იგეგმება დიაგნოსტირება, სასკოლო კურიკულუმის დანერგვის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრის

წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. იგეგმება კითხვარების შედგენა მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის, რომელზეც დაყრდნობითაც და მიღებული შედეგების გათვალისწინებით მოხდება კურიკულუმის მოდიფიცირება მოსწავლეზე ორიენტირებით. პროცესი წარიმართება კათედრის წევრებისა და დირექციის აქტიური თანამშრომლობით. აღნიშნული დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით: კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, ვერიფიკაციის მექანიზმი და სკოლის თვითშეფასების განაცხადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. მონიტორინგი და შეფასება ემხასურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერას

სკოლა გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების იმგვარად წარმართვას, რომ გააძლიეროს სასკოლო საზოგადოების მხარდაჭერა. შემუშავებული ვერიფიკაციის მექანიზმის მიხედვით გამოიკვეთება სასწავლო პროცესში რამდენად იყო/არ იყო მოსწავლეების შეფასება ვალიდური, სანდო, გამჭირვალე, სამართლიანი და ობიექტური. იდენტიფიცირებული უნდა იყოს ყველა პრობლემური საკითხი. მოსწავლეთა შედეგების ანალიზი, პრობლემების იდენტიფიცირება, ხარისხის მართვის ჯგუფის უკუკავშირი, მასწავლებელების ურთიერთდასწრება და რეფლექსია, მათ დაეხმარება თვალი ადევნონ პროცესის მიმდინარეობას, შეაფასონ შედეგები და არსებული გამოცდილებისა და ახალი შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება მოიაზრება, როგორც მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დახვეწის, გამოვლენილი სირთულეების გაანალიზების მექანიზმი. სემესტრის ბოლოს მასწავლებლები კათედრას წარუდგენენ სასწავლო წლის დასაწყისში დაგეგმილი ღონისძიებების, პროექტების, აქტივობების ანგარიშს, კურიკულუმის განხორციელების პროცესის რეფლექსიას, მიიღებენ მოსწავლეებისგან და მშობლებისგან უკუკავშირს, მიღებული შედეგები გააანალიზდება პედაგოგიურ საბჭოზე. მექანიზმში დეტალურადაა გაწერილი მიზნები და მისაღწევი შედეგები, თუ რამდენად იყო სასწავლო პროცესი ორიენტირებული სასწავლო მიზნებზე. აქცენტი კეთდება აქტივობების განხორციელებისას გამოკვეთილ ძლიერი მხარეებზე, ასევე იმ საჭიროებებზე, რომელიც გაუმჯობესებას მოითხოვს. საბაზო საფეხურის კლასების პედაგოგები პრობლემის მონიტორინგისა და შეფასების შემდეგ დაგეგმავენ შემდეგი სასწავლო წლის კურიკულუმს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12
- სამუშაო ჯგუფის ანგარიში.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- შეფასების რუბრიკები

2.3.2 სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ii შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს

სკოლის თვითშეფასების განაცხადის თანახმად შეფასება ეყრდნობა შემდეგ წყაროებს, კერძოდ, პროცესში ჩართული არიან მასწავლებლები, კლასის დამრიგებლები, მშობლები და მოსწავლეები, რასაც ადასტურებს შეფასების პროცესში გამოყენებული სხვადასხვა საშუალებები, მაგ: განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, სადიაგნოსტიკო ტესტები, მათ შორის ფოკუსირებული დაკვირვება, მშობლის და მოსწავლის უკუკავშირი, არაფორმალური განათლების მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია, სასწავლო შემოქმედებით ოლიმპიადებზე მიღებულ შედეგები. მასწავლებლებმა ინტერვიუშიც აღნიშნეს, რომ სათანადო ყურადღებას უთმობენ მოსწავლეთა ჰოლისტურ შეფასებას.. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

iiiშეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით

სკოლის თვითშეფასების განაცხადში აღნიშნულია, რომ შეფასება გამოიყენებოდა არამარტო მოსწავლეების მიღწევების დასადგენად, არამედ მათი სუსტი და ძლიერი მხარეების გამოსავლენად. სრული სურათის მისაღებად მოსწავლეებზე დაკვირვება და შეფასება მიმდინარეობს როგორც სასკოლო, ისე არაფორმალურ გარემოში - საკლასო-საშინაო აქტივობებში, პროექტებში და სხვა კლასგარეშე ღონისძიებებში (მაგ: მოსწავლის ფსიქო-სოციალური მდგომარეობა, გარემო კლიმატი, ურთიერთობები თანატოლებთან, მისი ჩართულობა და ქცევა სხვადასხვა გარემოში (სპორტული შეჯიბრება, ექსკურსია)) მიღებული მონაწილეობის საფუძველზე, რათა გაირკვეს, თუ რა ახდენს გავლენას მოსწავლის პროდუქტიულობაზე, რომ შესაბამისად მოხდეს მოსწავლის პროგრესის და მათი საჭიროებების შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები

შეფასებისას მონაცემთა შეგროვებისათვის, როგორც სკოლის თვითშეფასების განცხადშია აღნიშნული, მიმართავენ მოსწავლეებზე დაკვირვებას, პრეზენტირების, გუნდური მუშაობის, დროის მართვის უნარებს. ხდება მონაცემების გაანალიზება, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტურ შეაფსებას. სამომავლოდ გეგმავენ არსებული მეთოდების გამრავალფეროვნებას მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა

მეთოდის გამოყენებით, კერძოდ, დაკვირვება, ფოკუს ჯგუფი, ჩაღრმავებული ინტერვიუ მოსწავლესთან, საჭიროების შემთხვევაში მშობელთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით

სკოლის თვითშეფასების განაცხადის მიხედვით შეფასება ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. სკოლას აქვს გამოცდილება შეფასება მოახდინოს სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, კერძოდ, შეფასების დროს გათვალისწინებულია გარემო, დროის მენეჯმენტი, ფსიქო-ემოციური ფონი, კლასის პროფილის შექმნა, მოახდენენ მოსწავლეთა უნარების და ინტერესების დიფერენცირებას. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ მასწავლებელები და დამრიგებელები აანალიზებენ მოსწავლის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებს და აკვირდებიან რა გარემო ფაქტორები ახდენს გავლენას შედეგზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ქოუჩინგის შეჯამების ფორმა, რესურსი 12
- მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკა და სხვა დანარჩენი შეფასების რუბრიკები დაწყებით საფეხურზე.
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- სადამრიგრბლო პროგრამები;
- სკოლის თვითშეფასების განაცხადი;

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმს გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი

სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტიდან ირკვევა და ინტერვიუშიც აღნიშნეს მასწავლებლებმა, რომ საგნობრივი კურიკულუმების შეიქმნას წინ უძღვის წინა/მიმდინარე სასწავლო წელს განვლილი პროცესების/წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება შემდეგი მიმართულებების მიხედვით: **მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში** (რა ფაქტორები და სასწავლო პრაქტიკა აფერხებდა/უწყობდა ხელს საგაკვეთილო პროცესებში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას (მათი მხრიდან კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, მოქალაქეობის (ემპათია, პასუხისმგებლობა), ხასიათისა და ნებელობის, კოლაბორაციისა და კომუნიკაციის უნარების გამოვლენას; რამდენად მონაწილეობდნენ მოსწავლეები სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მათ ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესში); **მოსწავლეთა შედეგები** (რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები/სასწავლო პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას);

მშობელთა ჩართულობა (რამდენად გაითავისეს (გაიაზრეს, გაიზიარეს) მშობლებმა სკოლის ფილოსოფია (მისია-ხედვა-ღირებულებები) და სასკოლო კურიკულუმი (სწავლა-სწავლების მიზნები, სწავლების მეთოდების შესაბამისობა სასწავლო მიზნებთან, სასწავლო რესურსების გამოყენებისა და შეფასების პრინციპები); რამდენად შეძლეს მათ სკოლის მისიისა და კურიკულუმის დაკავშირება საკუთარ შეხედულებებთან და პრიორიტეტებთან; რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მშობლებთან კომუნიკაციას (სასწავლო პროცესში მათ ჩართვას; სასწავლო პროცესთან მიმართებით მათი შეხედულებებისა და ინტერესების შესწავლას/გამოკვეთას); **კათედრის მუშაობა** (რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს მასწავლებლებს შორის თანამშრომლობას დანერგვის პროცესის მონიტორინგისა და შეფასების, პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების, სკოლის ინსტიტუციური განვითარების შესწავლის მიმართულებით); **სკოლის დირექცია** (რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა/უშლიდა ხელს სკოლის დირექციის ჩართულობას შემდეგი პროცესების განხირციელება-შესწავლაში: სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება, რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობა/უშლიდა ხელს სასწავლო პროცესის დაკავშირებას სკოლაში მიმდინარე მმართველობით და დამხმარე პროცესებთან).

თითოეულ ზემოჩამოთვლილ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სასკოლო საზოგადოების წევრები შექმნიან რეკომენდაციების პაკეტს საგნობრივი კათედრების დონეზე, სადაც გათვალისწინებული იქნება დაგროვილი გამოცდილება,

ანალიზი, ინტერვიუები, რეფლექსიები (ჩატარებული გაკვეთილის, კომპლექსური დავალების, პროექტის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ჩატარებული კომპლექსური დავალების). მოდევნო წლის სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად და სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმის განსაახლებლად. მასწავლებლები შუალედური მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად განიხილავენ კომპლექსურ დავალებებსა და პროექტებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

2. კურიკულუმის გადამუშავების ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებასა და ითვალისწინებს მონტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად კურიკულუმები შექმნილია არსებული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, გათვალისწინებულია გამოკვეთილი ხარვეზები და წარმატებული პრაქტიკა. შექმნილი რეკომენდაციების პაკეტი უზრუნველყოფს მომდევნო წელს უფრო მყარ კორელაციას „დაწერილ/შეთანხმებულ“ და „აღსრულებულ“ კურიკულუმს შორის. სამომავლოდ გეგმავენ, კვლავაც გაითვალისწინონ მონიტორინგისა და შეაფსების ანალიზის შედეგები და შესაბამისი ცვილებები შეიტანონ კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები.
- სკოლის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება: o *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.* o *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

თარიღი : 29 სექტემბერი 2023 წელი